# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი, 2007 წელი.

№ 200 (5801)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

⊙ მსოფლიოს გასაგონად!

## ხელისუფლებასთან დიალოგის ყველა რესურსი ამოიწურა...



4

### ღია წერილი

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს,
ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს,
ასლი: ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს
საქართველოში, ჯ-ნ ჯონ ტეფტს

## საერთო სახალხო მოძრაობის ეროვნულმა საბჭომ მოქმედების 12 ძირითადი პრინციპი მანიფესტში შეიტანა

საერთო სახალხო მოძრაობის ეროვნულმა საბჭომ გუშინ საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში, მანიფესტი გამოაქვეყნა. მანიფესტში მოქმედების 12 ძირითადი პრინციპია ჩამოყალიბებული.

უპირველეს პრინციპად ეროვნული საბჭო დემოკრატიულ არჩევნებს ასახელებს და მიიჩნევს, რომ არჩევნებს პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების ნდობით აღჭურვილი, პარიტეტის საფუძველზე შექმნილი საარჩევნო ადმინისტრაცია უნდა ატარებდეს.

მეორე პრინციპად მანიფესტში ხელისუფლების ისეთი გადანაწილებაა დასახელებული, რომლის დროსაც რომელიმე შტოს მიერ ძალაუფლების უზურპაცია გამორიცხული იქნება. ეროვნულ საბჭოს ყველაზე მისაღებ მოდელად ევროპული ტიპის საპარლამენტო მმართველობა მიაჩნია.

ეროვნული საბჭო ძირითად პრინციპებს შორის დამოუკიდებელ სასამართლოსაც ასახელებს.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კი მანიფესტში საგარეო და საშინაო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად არის დასახელებული.

– ამ კონტექსტში აუცილებელია, საქართველოს მთელი ტერიტორია გათავისუფლდეს რუსეთის სამხედრო კონტინგენტისგან. იმავდროულად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსახლეობის უსაფრთხოება, დევნილთა უპირობო დაბრუნება, – ნათქვამია მანიფესტში.

ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლიანი მოდელის ჩამოყალიბების გზად კი ეროვნული საბჭო მერებისა და გამგებლების პირდაპირი კენჭისყრით არჩევას ასახელებს.

ეროვნული საბჭო ერთ-ერთ ძირითად პრინციპად პოლიტიკური ძალადობის აღკვეთას მიიჩნევს და აცხადებს, რომ სინდისისა და პოლიტიკური პატიმრები უნდა გათავისუფლდნენ.

პოლიტიკური ძალადობის აღკვეთის კონტექსტში საბჭო მთავარ პრიორიტეტებად პრეზიდენტ გამსახურდიასა და პრემიერ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებების, სანდრო გირგვლიანისა და ამირან რობაქიძის მკვლელობების გამოძიებას ასახელებს.

ძირითად პრინციპებად მანიფესტში ასევე დასახელებულია თავისუფალი მედია, საკუთრების ხელშეუხებლობა, თავისუფალი მეწარმეობა, ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა, ეროვნული თვითმყოფადობა და სამოქალაქო ინტეგრაცია.

საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად კი საბჭო ნატოსთან თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, დსთ-დან საქართველოს გამოსვლასა და მოსაზღვრე სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას ასახელებს.

ეროვნული საბჭო მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც ეს პრინციპები ძვირფასია, 2 ნოემბერს პარლამენტის შენობის წინ დაგეგმილ აქციას შეუერთდეს.

## „გა-ბადრ-ულები“ და „უ-ბადრ-უკები“ ქართულ პოლიტიკაში

3




## სოფიკოს ვარსკვლავი

გუშინ საღამოს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა ქართული თეატრისა და კინოს მშვენების, საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, დიდი ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის ღირსეული შვილის სოფიკო ჭიაურელის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო. თეატრის შენობის წინ გაიხსნა მისი ვარსკვლავი.

ვულოცავთ!

## ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო

ბატონ მიმი უჩუღევას მეანდაზეობის მამო

3

# სახელმწიფო

● განა ვინმეს სმენია ახალგაზრდა, ემოციური, დაუდგარი პრეზიდენტი „ქვეყნის გასაჭირზე ასე დამაშვრალ“ უ-უ-უ-მრავლსობას ხვდებოდეს და აზრის გამოთქმის ღირსად არცერთს არ თვლიდეს?



SIC!

## ერთი მსახიობის თეატრი

### საამური მონოლოგი დამფრთხალ უმრავლესობასთან

**მისმა უდიდებულესობამ საქართველოს პრეზიდენტმა დამფრთხალ-დაჩმორებულ უმრავლესობასთან მორიგი მონოლოგის დროს (16 ოქტომბერს, მიმწუხრის ჟამსძ, კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ:**

მიხეილ სააკაშვილი არავის უსმენს, თანაგუნდელებსაც არად აგდებს და ქართველი მოსახლეობის მწვავე რეაქციაზე მართლაც არაადეკვატურად რეაგირებს.



განა ვინმეს სმენია ახალგაზრდა, ემოციური, დაუდგარი პრეზიდენტი „ქვეყნის გასაჭირზე ასე დამაშვრალ“ უ-უ-უ-მრავლსობას ხვდებოდეს და აზრის გამოთქმის ღირსად არცერთს არ თვლიდეს?

ეგებ, ნინო ბურჯანაძეს და მაია ნადირაძეს („პრეზიდიუმში“ მიშასთან ერთად რომ „გაიფურჩქნენ“ძმაგარი „სმეშნოი“ რამ ჰქონდათ სათქმელი?

ან დავით კირკიტაძეს და რატი სამყურაშვილს გადმოეფრქვიათ მორიგი სიბრძნე?

აეროპორტში თუ სულაც თვითმფრინავში გადეპუტატებული ნინო კალანდაძის აფახულებული თვალების და უსამართლობის პრობლემებზე მისი „ლოგიკური“ მსჯელობის ღირსნიც არ ვიყავით?

ბატონო პრეზიდენტო, გემუდარებით, ნუ იზამთ ამას, ამოგვივიდა ყელში ერთი მსახიობის თეატრი! როცა უმრავლესობის თავყრილობა გაქვთ, სხვათა ჰაზრებიც მოგვასმენინეთ, თორემ... დაგვისკდა გულები ამდენი ერთფეროვანი, უაზრო და უშინაარსო სიფათეების ხილვით.

არ ვიცი შეამჩნიეთ თუ ველარ, – თქვენი მორიგი გამოსვლა-მონოლოგის დროს, „თანამებრძოლთა“ დიდი უმრავლესობა ცინიკურად ქირქილებდა!

ეს უკვე ძალიან ცუდის ნიშანია, ბატონო პრეზიდენტო!

გაზეთებს არ კითხულობთ, არ კითხულობთ!, ის მაინც არ გაგიგიათ, რომ ნებისმიერი ადამიანი (მათ შორის პრეზიდენტიც!ძ რაც უფრო მეტს ილაპარაკებს, მით უფრო მეტ აბდაუბდას იტყვის.

ნობელის პრემიის ლაურეატმა გაბრიელ მარკესმა ბრძანა ერთხელ, დიდი სულიერ-ფიზიკური ტკივილის ჟამს: **ჩემთვის განგებას ცოტა მეტი დრო რომ მოეცა, ნაკლებს ვილაპარაკებდი და მეტს ვიფიქრებდი იმაზე, რაც უნდა მეთქვა...**

საბედნიეროდ, მარკესმა მაშინ უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა და ღმერთმა ფიქრის დროც მისცა...

ჩვენს ახალგაზრდა პრეზიდენტს მთელი ცხოვრება ხომ წინა აქვს და, ეგებ ვინმეს მაინც მიუგდოს ყური.

დღეს ჩვენი გაზეთის მე-4 გვერდზე იბეჭდება ქართველი ერის უთვალსაჩინოეს შვილთა ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის, სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოში ამერიკის ელჩის ჯონ ტეფტის და, რა თქმა უნდა, ბოლო ხანს ზნეობრივ-პოლიტიკურად ასე გაპარტახებული საქართველოს ხელისუფლების საყურადღებოდ.

ხვალ კი „საქართველოს რესპუბლიკა“ დაბეჭდავს „ქართული აკადემიის“ საგანგებო განცხადებას...

ეგებ, ვინმემ დაარწმუნოს ჩვენი მოუხელთებელი პრეზიდენტი, რომ ეს წერილები გულდასმით უნდა წაიკითხოს და თავის დამფრთხალ გარემოცვას თვალწინ აუფრიალოს...

წერილები უკვე გადაგზავნილია ამერიკაში და შეყვანილია ინტერნეტსაიტზე. ამდენად, თუ „ვარდების ხელისუფლება“ ამ საპროგრამო პუბლიკაციებს ჯეროვან ყურადღებას არ მიაქცევს, კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ საკუთარ ხალხს აბუჩად იგდებს და... ქართველი ხალხი ამას უკვე აღარავის აპატიებს!

**პრეზიდენტო, იქნებ გაიღოთ მოწყალება და მართლა დაიწყოთ დიალოგი ხალხთან – უპირველეს ყოვლისა, ოპოზიციასთან, „ქართულ აკადემიასთან“, პრესასთან და ა. შ.**

**თუმცაღა, აქვს კი აზრი თქვენთვის ამის შეხსენება?**

**სპარტაკ ქობულია**

თვალში ნაცარი?

## ხიდაშელმა პრეზიდენტი სიცრუეში ამხილა

### გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუცია კარგად დავიწყებული ძველიაო

**ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამო მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუცია ოპოზიციას არ მოსწონს, განსაკუთრებით კი მისი საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისეული შეფასება, რომ ეს დოკუმენტი ჯერ კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია და „პირველად გაეროს რეზოლუციაში გაჩნდა ჩანაწერი დევნილთა მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, და არა მარტო გალის რაიონში დაბრუნების შესახებ“.**

რესპუბლიკური პარტიის წევრმა თინა ხიდაშელმა ღია ეთერით განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც ოპოზიციას სიცურეში ადანაშაულებს, თავად არის ყველაზე დიდი მატყუარაო: საქართველოს პრეზიდენტმა გვითხრა, რომ გაერომ მიიღო უპრეცედენტო დოკუმენტი, რომელიც არასოდეს არავის უნახავს, და რა მაგარი ხელისუფლება გვყავს! ეს არის დიდი სიცრუე, თანაც ისეთი, რომელიც შეიძლება მარტივად დადასტურდეს.

„ინტერნეტში გაეროს უშიშროების საბჭოს ვებ გვერდზე 1994 წლიდან მოყოლებული განთავსებულია ყველა რეზოლუცია, რომელიც საქართველოს გამო ოდესმე მიუღიათ“, – თქვა ხიდაშელმა.

დევნილების დაბრუნების შესახებ ახალი რეზოლუციის მე-15 პუნქტში გაეროს უმაღლესი კომისრის ფარგლებში მხოლოდ გალის რაიონზე ყოფილა ლაპარაკი. „ზუსტად იგივე ტექსტია, რაც უწინ იყო. ეს ცუდია, არავის უხარია, ნუ გვატყუებს ქვეყნის პრეზიდენტი, რადგან ადვილად გამოსავლენი ტყუილია და ქვეყანა აგებს... არ მაინტერესებს მიხეილ სააკაშვილის რეპუტაცია, მაგრამ ამ ყველაფერს, განსაკუთრებით კი იმას, რაც გაეროსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს უკავშირდება, მთელი მსოლფიო უყურებს. სირცხვილია, როცა ქვეყნის პრეზიდენტი მთელი მსოფლიოს გასაგონად იტყუება“, – დაასკვნა ხიდაშელმა.

საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული რეზოლუცია საქართველოს მიმართ მუდამ აგრესიით გამორჩეულმა რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმაც მოიწონა. რეზოლუციით კმაყოფილია სოხუმიც.

თუ ყველა კმაყოფილია, დავბრუნებულვართ აფხაზეთში და ჩვენც ეგ გვინდა, მაგრამ იბადება კითხვა – ნუთუ, მართლა მთელი მსოფლიოს გასაგონად მოიტყუა პრეზიდენტმა?

**ნატა ნიბლაძე**

ახალი მოძრაობა

## ერთიანდებიან ძალადობისა და უსამართლობის წინააღმდეგ

**საქართველოში პოლიტიკური ვითარება „დუღს“ და კულმინაციას როდის მიაღწევს, უცნობია. მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ საზოგადოებრიობა მომხდარის შეფასებასა და ანალიზს ძლივსღა ასწრებს. გაერთიანებული ოპოზიციის ლოზუნგს: „არ მეშინია!“ ბევრი ადამიანი აჰყვა. საზოგადოებრიობამ შიში დაძლია, ამასთან უმთავრესი კითხვა: როდის დაისადგურებს საქართველოში მშვიდობა? კვლავ აქტუალურია. საზოგადოებრიობის ნაწილი ხელჩაქნეულია, ნაწილი კი, ყველაფრის მიუხედავად, იმედით ცოცხლობს და ქვეყანაში ვითარების შეცვლის მოლოდინშია.**

ბოლო მოვლენებმა ოპოზიცია გააერთიანა და მათ მიზნისთვის ბრძოლა ერთიანი ძალით დაიწყეს. ოპოზიციის შეკავშირებამ ახალგაზრდებს გაერთიანებისკენ უბიძგა. მათ ახალგაზრდული მოძრაობა ჭადრაკის სასახლეში დააფუძნეს და მისი სამომავლო გეგმები დაისახეს.

ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენელთა განმარტებით, ამ მოძრაობას ლიდერი არ ეყოლება, მასში გაერთიანება ნებისმიერ ადამიანს და ორგანიზაციას შეეძლება.

„ბოლო დროს საქართველოში ძალადობა ყველა სფეროში, ყველა სოციალური ჯგუფის და ნებისმიერი ადამიანის მიმართ განხორციელდა. ჩვენ ვერთიანდებით იმისთვის, რომ ძალადობის წინააღმდეგ ახალგაზრდული მოძრაობა დავიწყოთ და ახალგაზრდების ქუჩაში ჩახოცვა, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, მასმედიაზე თავდასხმები, ერთმანეთზე შურისძიება და დაპირისპირება სამუდამოდ აღკვეთოთ. ეს ნეოკომკავშირული გაერთიანება არ არის, რასაც ბოლო დროს ხელისუფლება გვთავაზობდა.

ჩვენ განსხვავებული აზრისა და შეხედულებების მქონე, თავისუფალი ადამიანები ვართ, რომლებმაც ღია საზოგადოებრიობა უნდა შევქმნათ. ჩვენ ვქმნით მოძრაობას, რომელიც უფრო გაგვაერთიანებს, ერთობას შეგვმატებს, ახალი ძალით, ენერგიითა და ენთუზიაზმით საქართველოში ძალადობასა და სიკვდილის ბრიგადებს უარი ვუთხრათ. ამ ერთიანობით ჩვენი მომავალი, სიცოცხლე და დემოკრატიული ფასეულობები უნდა დავიცვათ. ჩვენ ვერთიანდებით იმისთვის, რომ ეს საქმე თავად გავაკეთოთ და ხელისუფლებას ვუთხრათ, რომ ძალადობას არ შევეგუებით და ამის წინააღმდეგ ხმას ყოველთვის ავიმაღლებთ“ – განაცხადა დამფუძნებელ შეკრებაზე „თანასწორობის ინსტიტუტის“ ერთ-ერთმა წევრმა ლევან გოგიჩაიშვილმა.

**პოლიციამ ახალგაზრდული მოძრაობის წევრები დააკავა**



ახალი მოძრაობის აქტივისტები საკოორდინაციო საბჭოს შექმნას აპირებენ, რომელიც მომავალ სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს.

ლევან გოგიჩაიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოში „სხვისი ჭირი–ღობეს ჩხირის“ პრინციპით ცხოვრება მიუღებელი და დასაგმობია, რადგან თითოეული ადამიანის ტკივილი საზოგადოებრიობის ტკივილიცაა.

გამომსვლელთა შორის იყვნენ სპორტის აკადემიის წარმომადგენლებიც, რომლებმაც აკადემიის შენობის ჩამორთმევა კიდევ ერთხელ დაგმეს.

„საქართველოში ჭეშმარიტი დემოკრატიის ჩამოყალიბებისა და რეალიზაციის მნიშვნელოვანი პროცესები იწყება. ვფიქრობ, რომ ამ პროცესებში საზოგადოებრიობის ყველა წევრი უნდა ჩაერთოს და მათ შორის, ძალზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდების აქტიურობა. ზოგადად, ახალგაზრდობა ყოველთვის იყო ის უმთავრესი ძალა, რომელიც ჯანსაღი აზრის საფუძველზე მოქმედებდა. საქართველოში სამართლიანობის მკვეთრი, რეალური დეფიციტია. ხელისუფლების ყველაზე დიდი პრობლემა საზოგადოებრიობასთან ურთიერთობაშია. ახალგაზრდების სახელით, ხელისუფლების წარმომადგენლებს ვაფრთხილებთ, რომ მათი პოლიტიკური კარიერის დასასრული ხავერდოვანი არ იქნება“ – აღნიშნა პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ ახალგაზრდული მოძრაობის თავმჯდომარემ ზაზა გაბუნიამ.

ბოლოს, ახალგაზრდული მოძრაობის მომხრეებმა საკუთარი მხარდაჭერა დიდ ფორმატზე ხელმოწერებით გამოხატეს, ხელებზე თეთრი ლენტები შეიბეს და მშვიდობიანი მსვლელობით პარლამენტისკენ გაემართნენ. მსვლელობისას მოძრაობის მხარდამჭერებსა და პოლიციას შორის მცირე ინციდენტი მოხდა. რუსთაველის გამზირზე საგზაო მოძრაობის შეფერხებისთვის პოლიციამ ძალის გამოყენებით ოთხი ჭაბუკი დააკავა, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. აქციამ პარლამენტამდე მაინც მიაღწია, სადაც მათ ოპოზიციის ლიდერები შეუერთდნენ და ახალგაზრდების დაკავება მკაცრად გააკრიტიკეს.

**მაია ხორგუაშვილი**

## ადუღებული დრო

**ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება თანდათან მატულობს. ოპოზიცია პოლიტიკურ კრიზისზე ალაპარაკდა, რასაც ნაციონალური მოძრაობის ლიდერები კატეგორიულად უარყოფენ**




◉ ცხელი შემოდგომა

# „გა-ბადრ-ულები“ და „უ-ბადრ-უკები“ ქართულ პოლიტიკაში

**სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „უბადრუკი“ ნიშნავს „უბედოს უარესს“, ასევე, „შესაწუხებელთა ვნებათა განსაცდელსა მყოფს“.**

**თავიდან უბადრუკად ხელისუფლება ოპოზიციამ მონათლა, მოგვიანებით კი ის სიტყვა ოპოზიციას ხელისუფლებამ მიუსადაგა.**

ვინ გახდება უბადრუკი, ანუ უბედოს უარესი, ამას უახლოეს ხანში განვითარებული მოვლენები დაგვანახებს. ყველაფერი კი იმ ავბედითი დღით დაიწყო, როცა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა „ღია ეთერით“ ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობებზე მყოფი პირები ამხილა. ამით გაზაფხულ-ზაფხულში მიძინებული პოლიტიკური სეზონი კი არ გამოაცოცხლა, არამედ ცეცხლი წაუკიდა.

– 28 სექტემბერს პირველად „ვარდების რევოლუციის“ ისტორიაში 20 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა მთავრობის სახლთან გამართულ საპროტესტო აქციაში. ამ დღეს პირველად გახმიანდა ლოზუნგი „ძირს სააკაშვილის რეჟიმი“ და ითქვა, რომ იწყება ეროვნული მოძრაობის მეორე ძლიერი ტალღა, რომელსაც ვერც რუსეთი და ვერც ამერიკის შეერთებული შტატები ვერ შეაჩერებენ. ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერმა ამ დღეს დიდგორიც კი უწოდა.

მართლაც, ოპოზიციისა და საზოგადოებრიობის ასეთი ერთობა ამ ოთხი წლის განმავლობაში არავის უნახავს. იყო პატარ-პატარა აქციები, მაგრამ ასე ერთად ერი უახლოეს წლებში არ მდგარა.

ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის მონაწილეებმა არა მარტო ამჟამინდელი პრეზიდენტის გადადგომა, არამედ საერთოდ მისი პოსტის გაუქმება მოითხოვეს და საერთო-სახალხო მოძრაობას ბორბლები დაუზეთეს. მართალია, ხელისუფლების მხარდამჭერი ტელევიზია აქციის მონაწილეებს ირაკლი ოქრუაშვილის მომხრეებად მოიხსენიებდა, მაგრამ იქ, მთავრობის სახლის წინ, იმ დღეს უამრავი ადამიანი მოვიდა არა ოქრუაშვილის მხარდასაჭერად, არამედ ქვეყანაში არსებული უსამართლობის წინააღმდეგ საკუთარი პროტესტის გამოსახატავად.

„ოქრუაშვილის ფაქტორი“ მოთმინებაავსებული ხალხისთვის ნაპერწკალი აღმოჩნდა ქუჩაში გამოსასვლელად. ქუჩაში კი ადამიანი მხოლოდ მაშინ გამოდის, როცა ქვეყანაში ცივილიზებულად, კანონიერი გზით სამართალს ვერ პოულობს. ათასობით ადამიანი ერთად დადგა უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. საზოგადოება მოითხოვდა ხელისუფლებას პასუხი გაეცა თავდაცვის ყოფილი მინისტრის მიერ წაყენებულ ბრალდებებზე. გაერთიანებული საზოგადოება ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ საკუთრების დასაცავად საჭიროა სწორედ საკითხის პოლიტიკურად დაყენება.

საზოგადოება, რომელსაც „აღარ ეშინია“, ხმამაღლა ლაპარაკობს არჩევნების გაყალბებაზე, დემოკრატიის ფეხქვეშ გათელვაზე, სამუშაო ადგილების კატასტროფულად შემცირებაზე, დაუცველობაზე, სამართალდამცველთა მიერ მათი საკუთრების ხელყოფაზე, საზოგადოების პოლარიზაციაზე უკიდურეს მდიდრებად და ღარიბებად, სადაც უპოვარნი 98 პროცენტია... საზოგადოებას აღელვებს, რომ ხელისუფლებამ უცხოელებს ჩაუგდო ხელში სტრატეგიული ობიექტები, მიწა და წყალი...

ბევრი აცხადებს, ხელისუფლებამ ნაციონალური დაირქვა და ეროვნულობა დაივიწყაო. დამოუკიდებელი ერი რომ თავისუფალი, ანუ წარსულისა და მომავლის უფალი უნდა იყოს, ეს აღარავის ახსოვს – ადრე თუ რუსეთს შევყურებდით ხელებში, ახლა ამერიკას ვდებთ იმედებსო. საქართველოს საგარეო პოლიტიკა უცხოეთის მიზნებზეა აგებული, და არა ჩვენს საკუთარ ამოცანებზეო...

ერთი სიტყვით, წლობით დაგროვილმა უკმაყოფილებამ საზოგადოების ყველა ფენა გააერთიანა.

ხელისუფლებამ ამ პროტესტს იმით უპასუხა, რომ საზოგადოებას ირაკლი ოქრუაშვილის „მონანიება“ააფარა თვალებზე. აღიარებით ჩვენებაში კი, რომელიც ტელეეკრანზე სულ სხვა პიროვნებად ქცეულმა არაადეკვატურმა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა წაიკითხა, ყველაზე დიდი ადგილი იმას დაეთმო, რომ თურმე იგი, ოქრუაშვილი ბადრი პატარკაციშვილთან ერთად რაღაც გადატრიალებას გეგმავდა.

ამას მოჰყვა „კირკიტკატურებად“ მონათლულ უმრავლესობის ლიდერთაგან შეთქმულებაზე ლაპარაკი, ტელეკომპანია „იმედისა“ და მისი დამფუძნებლის დისკრედიტაციის მცდელობა... ოპოზიციას „გა-ბადრული“ უწოდეს, თავის მხრივ, მისმა ლიდერებმა ხელისუფლება „უბადრ-უკად“ მონათლეს.

თუმცა, საკითხავია, იმ დღეებში, თავდაცვის მინისტრის „მონანიების“ ფონზე, ვინ უფრო გამოიყურებოდა გაბადრულად – ხელისუფლება თუ რეალურ ბურჯგამოცლილი ოპოზიცია? ტელეიმედისადმი გაგზავნილი მესიჯებიდან ერთ-ერთმა ძალიან დამაფიქრა – 6 წლის ბავშვს დედისთვის უკითხავს, დედა, ირაკლი (იგულისხმება აღიარებითი ჩვენების დროს ტელევიზიით გამოსული ოქრუაშვილი) ავად არისო?! ბავშვიც კი მიხვდა, რომ ეს ადამიანი უწინდელთან შედარებით საგრძნობლად შეცვლილიყო.

ხოლო „უბედოს უარესი“, ანუ „შესაწუხებელთა და ვნებათა განსაცდელთა მყოფი“ უმრავლესობის ლიდერები, რომელთა ძალა იმ დღეებში შესაშურად ხნავდა და ალმართს, ნიშნისმოგებით დასძახოდნენ ოპოზიციას – ხედავთ, თქვენი გმირები როგორ გამოიყურებიანო? თუმცა, იმაზე არას ამბობდნენ, როგორ გაექარწყლებინათ საზოგადოებაში გაჩენილი უზარმაზარი ეჭვი პატიმარზე ზემოქმედების ბინძურ, საბჭოეთის დროინდელ მეთოდებზე. „აღიარებამ“ იმაზე უფრო მეტი რამ გვითხრა, ვიდრე „ღია ეთერში“ ოქრუაშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა, რომელსაც ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მიხეილ სააკაშვილის აღიარებითი ჩვენებაც კი უწოდა.

ამ მოვლენების შემდეგ ყინული გალღვა – საზოგადოების თითოეული წევრი გამოფხიზლდა, შიში დაძლია და ამ ბოლო დროს დაგროვილ უამრავ შეკითხვაზე „ვარდების“ ხელისუფლებისგან პასუხი მოითხოვა.

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება თანდათან მატულობს. ოპოზიცია პოლიტიკურ კრიზისზე ალაპარაკდა, რასაც ნაციონალური მოძრაობის ლიდერები კატეგორიულად უარყოფენ. ზოგიერთი ექსპერტი შექმნილ ვითარებას პოლიტიკური კრიზისის წინაპირობად მიიჩნევს, რადგან ხელისუფლებამ ოქრუაშვილის ფაქტორით შეძლო მოსალოდნელი პოლიტიკური კრიზისის გაუვნებელყოფა.

ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ სერიოზული ოპონენტის – ოქრუაშვილის თავიდან მოშორებით, ხელისუფლებამ მოკლევადიან პერსპექტივაში მოიგო, მაგრამ გრძელვადიანში ძალიან ბევრი წააგო, რადგან მისი სერიოზული დისკრედიტაცია მოხდა. თუმცა „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლიდერისთვის ოპოზიციის გამოსვლები „ქარიშხალია ჭიქაში“ და მისი აზრით, ისინი საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავენ.

ექსპერტები მძიმე ვითარებიდან გამოსასვლელად კომპრომისსა და დიალოგს მიიჩნევენ საჭიროდ. მაგრამ საეჭვოა, ხელისუფლება ამ გზით წავიდეს (გავიხსენოთ, ცესკოს თავმჯდომარედაც კი ოპოზიციისთვის აბსოლუტურად მიუღებელი პიროვნება დაინიშნა). ამიტომ საეჭვოა, რამდენად გაითვალისწინებს ხელისუფლება ოპოზიციის მოთხოვნებს საარჩევნო კოდექსში ცვლილების შეტანისა და საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე დანიშვნის თაობაზე, როდესაც პარლამენტის უფლებამოსილების ვადა სრულდება.

დიალოგი რომ ადვილი არ იქნება, ამაზე პრეზიდენტის კახეთში გამოსვლამაც დაარწმუნა საზოგადოება. პრეზიდენტი გაბრაზებული იყო და ოპოზიციის მიმართ ნიშნის მოგებით ლაპარაკობდა, რამაც არა მგონია, განმუხტოს დაპირისპირება. ვითარებას, ალბათ, არც 50-50-ლარიანი ვაუჩერები გამოასწორებს, რადგან სურსათის ფასები საგრძნობლად გაიზარდა და უკმაყოფილოთა რაოდენობამაც, ბუნებრივია, იმატა. ოპოზიცია ფიქრობს, რომ არც ქართველი ხალხის მოსყიდვა შეიძლება 50 ლარად და არც ოპოზიციისა – 5 პროცენტიანი ბარიერით.

ექსპერტების აზრით, სამოქალაქო დაპირისპირების აზვირთება და ხელისუფლების მარცხი გარდაუვალია.

ოღონდ, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები მხოლოდ მაშინ მიაღწევენ შედეგს, თუ ქვეყნის ინტერესებს პირად ამბიციებზე მაღლა დააყენებენ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ მზერა შორეთიდან

**ეს ანდაზა გიგი უგულავამ იხმარა ირაკლი ოქრუაშვილის მისამართით, რომელმაც ბრალი დასდო პრეზიდენტს დანაშაულობებში, მაგრამ ანდაზის შინაარსი არაფრით არ შეესაბამებოდა ყოფილ თავდაცვის მინისტრს, რადგან იგი შინ იმყოფებოდა და იმხანად არც უვარგისობა ეთქმოდა.**

**საინტერესოა, მაშ, ვის წკეპლავდა ბ-ნი გიგი ამ ანდაზით?**

**ვის წკეპლავდა, დანამდვილებით ვერ გეტყვით, მაგრამ ანდაზა რომ მიხეილ სააკაშვილზე იყო ზედგამოჭრილი, უდავოა. თანაც თარსად, ზუსტად იმ დროს, პრეზიდენტი შინ არ იმყოფებოდა, ამერიკაში გახლდათ, რის „სანადიროდ“, ძნელი სათქმელია, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, რას უნდა გაეთამამებინა ბ-ნი გიგი ასე, რომ სახელმწიფოს მეთაურისთვის შეებედა, თუნდაც გადაკვრით, „შინ არ ვარგიხარო“?**

# ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო

## ბატონ გიგი უგულავას მეანდაზეობის გამო

თუმცა აქ ერთი მომენტია მხედველობაში მისაღები: იმ დროს, როდესაც ლამის ცა ჩამოიქცა ბრალდებებით, წალეკვით რომ ემუქრებოდა არა მარტო პრეზიდენტს, არამედ მთელ მის გარემოცვასაც (ქალაქის მერის ჩათვლით), გადაწყვეტილების მიმღები ადგილზე არ იყო, რათა სასწრაფოდ ჩაეკმენდინებინა ხმა ამ უბედურების თავსდამტეხი თავხედი ბრალმდებლისათვის. ბატონები ბოკერია, ლომაია, რურუა, კემულარია, უგულავა და მერაბიშვილი მთელი ორი დღე ამაოდ ელოდნენ ბატონი მიხეილის ჩამობრძანებას და ირაკლი ოქრუაშვილის თავისუფალი ტელემხილებებით დაზაფრულნი, იძულებული გახდნენ, ორი უკანასკნელი ბატონთაგანი პარიზს მიევლინებინათ, რათა მოქმედების რწმუნება მიეღოთ.

გამორიცხული არ არის, ვიღაცამ ისიც ივარაუდოს, რომ ბ-ნ გიგის შეეძლო, პრეზიდენტისათვის ასეთი ნილბის ახდის შემდეგ უნებლიეთ ეფიქრა, მისი საქმე უკვე წასულიაო, და „წაქცეულისთვის“ ანდაზაც ზედ მიეზილა, რასაც მე არ ვიზიარებ.

ერთიც მგლისკენ: ქვეყანას ცეცხლი უკიდია, ბოკერიამ და უგულავამ არ იციან, რა მოიმოქმედონ და სიმწრისაგან როგორ „იხუმრონ“, პრეზიდენტი კი ამ დროს ვერ გაიგებ, სად და რისთვის დაფრინავს და „დანადიროებს“ ამდენს.

ამერიკიდან ჩამოფრენა ვერ მოასწრო, საბერძნეთში გაჩნდა, მერე უცებ დანიაში გაფრინდა, დანიიდან – ფინეთში! გვარამიამაც რა ქნას, ადგა და ოქრუაშვილი დაიჭირა!

უკაცრავად, დანიამდე დუშანბეში გაფრინდა დსთ-ს „სამიტზე“ დასასწრებლად, „ექსპერტ“ კახა, ანუ ალექსანდრე („მაინც რა საჭიროა ეს ორი სახელი?“) ლომაიასთან ერთად, საიდანაც უსალამ-ქალამოდ უკანვე გამოფრინდა, რათა დანიასა და ფინეთში გაფრენილიყო.

ევროპა და ამერიკა (რუსეთიც!) შუა აზიაში დაფრინავენ, მიხეილ სააკაშვილი – ევროპასა და ამერიკაში!

თუმცა ფინეთში საქმეზე გაფრენილა: სანაკოევს ოლანდის კუნძულების ავტონომია მოაწონა!

სანაკოევი რომ ოლანდის კუნძულებს არ დაიწუნებდა, გასაგებია. მე უბრალოდ ის ვერ გავიგე, რა კავშირი ჰქონდა ირაკლი ოქრუაშვილს ზემოხსენებულ ანდაზასთან და რას ერჩოდა ბ-ნი გიგი პრეზიდენტ სააკაშვილს?

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე
ინტერნეტით

# ერისა და ბერის გასაგონად!



„ქართული აკადემია“

*საზოგადოება „ქართული აკადემია“, რომელშიც გაერთიანებული არიან მეცნიერები, მწერლები და ხელოვნების წარმომადგენლები, დიდად აფასებს იმ ქმედით დახმარებას, რომელიც ამერიკელმა ხალხმა და მისმა მთავრობამ არაერთხელ გაუწია საქართველოს ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ჟამს. იმედს გამოვთქვამთ, რომ ასეთი დახმარება გამოიღებს პოზიტიურ შედეგს და ორ მეგობარ სახელმწიფოს კიდევ უფრო შეაკავშირებს საერთო ინტერესების გარშემო. ვადასტურებთ პატივისცემასა და კეთილგანწყობას ამ საერთო ინტერესებისადმი.*

*ამასთანავე, აუცილებლობად მიგვაჩნია, განვაცხადოთ შემდეგი:*

## ხელისუფლებასთან დიალოგის ყველა რესურსი ამოიწურა...

### ღია წერილი

### ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს,

### ასლი: ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში, ბ-ნ ჯონ ტეფტს

17 წლის განმავლობაში ჩატარებული გარდაქმნები ადასტურებენ, რომ საქართველოს მართვის სისტემა ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას და ჯერ კიდევ შორს არის თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების სტანდარტებისაგან. ამ პერიოდში საქართველო გახდა ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილი სახელმწიფო როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ისე, განსაკუთრებით, ქვეყანაში ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვის კუთხითაც. ამ ტენდენციის ფონზე განსაკუთრებით შეშფოთებას იწვევენ ბოლო წლებში, ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განვითარებული მოვლენები. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ძალისხმევას არ იშურებდა რევოლუციისათვის, იმედით იყო აღვსილი. მაგრამ, რევოლუციის შედეგად გაჩენილი იმედი ქრება, იცვლება დიდი იმედგაცრუებით და, უფრო მეტიც, არის იმის შეგრძნება, რომ საზოგადოება მოტყუებულია. ამ მოვლენების არსი შემდეგნაირად გვესახება:

წლების განმავლობაში ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ საქართველოს მოსახლეობა სიღატაკის უკიდურეს ზღვრამდე მიიყვანა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში დაიწყო ფსევდოლიბერალური ეკონომიკის დანერგვა, მაგრამ ამას დადებითი ეფექტი არ მოჰყვა, რადგანაც ხელისუფლების მხრიდან არ მოხდა საშუალო და მცირე ბიზნესის რეალური ხელშეწყობა. სამომხმარებლო საგნებზე ფასების ზრდა მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ საქართველოში 2006 წელს ინფლაცია შესამჩნევად აღემატებოდა მთავრობის მიერ დეკლარირებულ 8,8%-ს. თუ საქართველოს ბიუჯეტს გამოვაკლებთ პრივატიზაციიდან და მიწის გაყიდვიდან შემოსულ თანხებს და შევუდარებთ ინფლაციის რეალურ დონეს (რომელიც ბევრად აღემატება 8,8%-სძ, აშკარა გახდება, რომ წარმატებებზე საუბარს არავითარი საფუძველი არა აქვს.

„წარმატებული ქვეყნის“ იმიჯის შესაქმნელად ხელისუფლება ძირითადად მიმართავს თვითრეკლამას და ძვირადღირებული შოუებითა და მდარე სანახაობებით ცდილობს ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალური და სამართლებრივი ვითარების „გადაფარვას“.

ეკონომიკის სავალალო მდგომარეობა გამოწვეულია იმითაც, რომ ხელისუფლებამ სწორად ვერ შეარჩია ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები, ვერ გამოიყენა საქართველოში არსებული ცოდნის დონე და საწარმოო პოტენციალი, არ ისურვა მსოფლიოში არსებული პოზიტიური გამოცდილების გამოყენება (ჩრდილოეთი ირლანდია, სლოვაკეთი, სინგაპური, სამხრეთ აზიის ქვეყნები...ძ.

რამდენადაც ვერ მოინახა ბიუჯეტის შევსების კანონიერი საშუალებები, ხელისუფლება ხელყოფს კერძო საკუთრებას, მიმართავს სახელმწიფო რეკეტს, შემოაქვს ანომალიური გადასახადები (მოსაკრებლებიძ და ა. შ. სახელმწიფო რეკეტს, გარდა ბიუჯეტის შევსებისა, მოსახლეობის დაშინების ფუნქციაც აქვს დაკისრებული.

ყოველდღიურ მოვლენად იქცა ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები, განსხვავებული შეხედულებების გამო მოქალაქეთა დევნა, მასმედიის საშუალებებზე ზეწოლა. სასამართლო ხელისუფლება, ფაქტობრივად, ხელისუფლების ნების მორჩილ შემსრულებლადაა გადაქცეული და ქვეყანაში დამკვიდრდა შერჩევითი მართლმსაჯულება. სასამართლო სისტემის გადაგვარება იმდენად აშკარაა, რომ სასამართლოზე საჯაროდ საუბარს ხელისუფალნი მაქსიმალურად არიდებენ თავს. ამ შემთხვევაში მათი PR ტექნოლოგიებიც კი უძლურია.

საქართველოს პრეზიდენტი, არ ენდობა რა საზოგადოებას, მთავრობას არაკვალიფიციური, მაგრამ მისთვის სანდო, ძირითადად თანაპარტიელი, პერსონებით აკომპლექტებს, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში სიტუაციის გაუარესებასა და მთავრობის ხშირ, მაგრამ უშედეგო როტაციებს იწვევს.

ქვეყანაში მიმდინარეობს დემოკრატიულ ფასეულობათა დისკრედიტაციის პროცესი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელისუფლებას არაფრად უღირს ნებისმიერ დონეზე (თვით ფეხბურთის ფედერაციის დონეზეც კი!ძ ჩატარებული არჩევნების შედეგების გაუქმება ან კორექტირება მმართველი პარტიისათვის სასურველი პიროვნების სასარგებლოდ. მიღებული საარჩევნო კანონი და სისტემა აშკარად არადემოკრატიულია. აქედან გამომდინარე, მოქალაქეებმა დაკარგეს ნდობა საარჩევნო სისტემებისადმი და მოსახლეობამ ამ მხრივ, არსებითად, ხელი აიღო სოციალურ აქტიურობაზე. ამომრჩეველთათვის უკვე ნათელია, თუ რა ხერხებსა და საშუალებებს გამოიყენებს მომავალ პოლიტიკურ არჩევნებში ხელისუფლება, რომლისთვისაც დემოკრატიული ფასეულობები და პროცედურები მხოლოდ ავტორიტარიზმის შესანიღბი საშუალებაა და სხვა არაფერი.

ხელისუფლება თავს არიდებს საზოგადოებასთან დიალოგს. ნაცვლად დიალოგისა, ხელისუფალნი ცდილობენ საზოგადოების გულისწყრომისა და განსხვავებულ მოსაზრებათა მარგინალიზაციას. ამასთანავე, ცდილობენ, დიალოგის იგნორირება შენიღბონ პრინციპული და უკომპრომისო რეფორმატორობის საბურველით. ცხადი ხდება, რომ ხელისუფლება საზოგადოებასთან ურთიერთობისას არა კონსტრუქციული დიალოგის, არამედ პოლიციისა და ჯარის იმედზეა. ამ ორ უწყებას, სხვათა შორის, ქვეყნის ბიუჯეტის 30% ხმარდება.

კულტურის, განათლებისა და მეცნიერების დარგში ჩატარებული რეფორმები კატასტროფულია თავისი შედეგებით და უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება მსოფლიოს თანამედროვე მოთხოვნილებების საპირისპირო მიმართულებით. მაგალითად, ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყნის შიდაეროვნული პროდუქტის მეცნიერებისა და ინოვაციების ისედაც მცირე საპროცენტო განაკვეთი მნიშვნელოვნად შემცირდა და დღეს შეადგენს 0,1%-ს. ეს, ფაქტობრივად, მეცნიერების დაფინანსებაზე უარის თქმის ტოლფასია. სამეცნიერო რეფორმის კანონით გათვალისწინებული ყველა ვადა ამოწურულია. ამასობაში ყველა სამეცნიერო დაწესებულება აღმოჩნდა საკანონმდებლო სივრცის მიღმა, „რეფორმით“ გამოწვეულ ნგრევასა და კვალიფიციური კადრების დევნას კი ბოლო არ უჩანს. გარდა ამისა, საგულისხმოა ის მასალები და რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში – „მეცნიერების ადმინისტრირების ეფექტური მოდელის შექმნა: ევროკავშირის გამოცდილების მიმოხილვა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად მეცნიერების პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება“ (TACIS №123052ძ.

კულტურისა და განათლების სისტემებში განხორციელებული რეფორმების წარუმატებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიცაა, რომ საქართველოში დაინერგა არა ჭეშმარიტი დასავლური ღირებულებები, არამედ ფსევდოკულტურის ელემენტები და გაყალბებული ფსევდოდასავლური განათლების სტანდარტები. ეს კი მოქალაქეებში იწვევს საპროტესტო განწყობას. განსაკუთრებით მძიმე შედეგები მივიღეთ მოზარდებში, რომელთა ჩამოუყალიბებელი ფსიქიკა ვერ პასუხობს მთავარ კითხვებს: რატომ არ შეიძლება ძალის გამოყენება სხვა ადამიანის მიმართ, თუკი ხელისუფლება ამის დემონსტრირებას ახდენს ყოველდღე? რისთვის სჭირდება სწავლა, თუ ნასწავლი ადამიანები ვერ პოულობენ საქართველოში საკუთარ ადგილს და ა.შ.

დღევანდელ საქართველოში მიმდინარე პროცესები მსგავსია ლათინურ ამერიკაში მიმდინარე პროცესებისა, სადაც ასევე შემცირდა საშუალო კლასი და სამაგიეროდ გაჩნდა ანტიამერიკანიზმი და ლტოლვა სოციალისტური რევოლუციებისაკენ. მოვლენათა განვითარება მიუთითებს ამგვარი ტენდენციების გაძლიერებაზე საქართველოში.

საქართველოში დღითი დღე იზრდება კონფრონტაცია ხელისუფლებასა და ხალხს შორის. რეალურია საფრთხე, რომ ქვეყანაში გამოწვეული სოციალური დაძაბულობა, ხალხის მასობრივი გაღატაკება, დემოკრატიული ღირებულებების დისკრედიტაცია და პროპაგანდა, სამართლებრივი ნიჰილიზმი, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა განუწყვეტელი ზრდა, საყოველთაო გაუცხოებისა და დაუცველობის განცდა გადაიზრდოს პოლიტიკურ დესტაბილიზაციაში, აქედან გამომდინარე სავალალო შედეგებით.

ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ღიად გამოხატავდა და დღესაც გამოხატავს თავის მხარდაჭერას საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისადმი;

ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ბატონმა ჯორჯ ბუშმა თბილისში ვიზიტის დროს საქართველოს „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა;

ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის ჩიხში შეყვანი „რეფორმატორული“ საქმიანობისას განუწყვეტლივ აპელირებს ამერიკის მთავრობის მხარდაჭერაზე;

საქართველოში მიმდინარე პროცესები ხალხის თვალში, ნებსით თუ უნებლიეთ, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ კურსთან ასოცირდება.

საქართველოს ხელისუფლების მოქმედების არადემოკრატიულობა და არაეფექტურობა აშკარაა ქართული საზოგადოებისათვის. ძნელი წარმოსადგენია, რომ მათი ასეთ დაფარული იყოს საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფი ამერიკელი პოლიტიკოსებისა და სპეციალისტებისათვის. ჩნდება განცდა, რომ საქართველოს მხოლოდ და მხოლოდ გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტად იყენებენ. ქართველი ხალხის თვალში სერიოზულად ილახება ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტი და, რაც მთავარია, სერიოზულად ზარალდება ის საერთო ინტერესები, რომლებიც ჩვენს სახელმწიფოებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ამოიწურა რა საკუთარ ხელისუფლებასთან დიალოგის ყველა რესურსი, მოგმართავთ თქვენ, რათა თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში ობიექტურად შეაფასოთ საქართველოში მიმდინარე ანტიჰუმანური და ანტიდემოკრატიული პროცესები, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურებთ თქვენს პატივისცემასა და ერთგულებას დემოკრატიის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისადმი და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობთ ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივი ნდობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებულ შემდგომ თანამშრომლობას.

*ზაზა აბაშიძე, ისტორიკოსი; გიორგი ანთელავა, პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე; ავთანდილ არაბული, პროფესორი, ფილოლოგი; გიგა ბათიაშვილი, აკადემიკოსი, არქიტექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე; გია ბურჯანაძე, მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; ერეკლე გამყრელიძე, აკადემიკოსი, გეოლოგი; თემურ გოცაძე, საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, კომპოზიტორი; აველინა დავითულიანი, დოცენტი, ფიზიკოსი; გელა დოლიძე, ფიზიკოსი; მამუკა დოლიძე, პროფესორი, ფილოსოფოსი, დრამატურგი; მალხაზ ზაალიშვილი, აკადემიკოსი, ბიოფიზიკოსი; ვანო კილურაძე, აკადემიკოსი, მათემატიკოსი; თამაზ მარსაგიშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; ჯემალ მებონია, პროფესორი, ფიზიკოსი; ნოდარ მგალობლიშვილი, მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი; ოთარ მელქაძე, პროფესორი, იურისტი; ზაზა მრელაშვილი, მწერალი, პუბლიცისტი; შოთა ნადირაშვილი, აკადემიკოსი, ფსიქოლოგი; მაია ნათაძე, პროფესორი, ფილოლოგი; თემურ ნანეიშვილი, პროფესორი, ფიზიოლოგი; თენგიზ სანაძე, აკადემიკოსი, ფიზიკოსი; გოგი ქავთარაძე, რეჟისორი, მსახიობი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარია, რეჟისორი, პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; დავით ქარქაშაძე, დოცენტი, ფიზიკოსი; გიორგი ჩაგელიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; ნინელი ჭანკვეტაძე, მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; გია ჭუბაბრია, კინორეჟისორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის, ალბერტ შვაიცერის პრემიის (გფრ) ლაურეატი; ალექსანდრე ხარაზიშვილი, პროფესორი, მათემატიკოსი; მარინა ჯანაშია, მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; კოტე ჯანდიერი, მწერალი, დრამატურგი; მერაბ ჯიბლაძე, პროფესორი, ფიზიკოსი; თამაზ ჯოლოგუა, პროფესორი, ფილოლოგი.*

№ 200. ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი, 2007 წელი.

# ისტორია

● მაშინდელმა საქართველოს ხელისუფლებამ პროქართული ორიენტაციის ლიდერებს სათანადო თანადგომა ვერ აღმოუჩინა, რამაც პროთურქული ორიენტაციის აღორძინებასა და მის შემდგომ გაძლიერებას ხელი შეუწყო



## ◎ სიმართლე კი ასეთია!..

# ბოლოს და ბოლოს, ვინა ხართ თქვენ, „თურქო მესხებო“?

არადა, საქართველოში რუსული მმართველობის ეპოქაში არ არსებობს ერთი შემთხვევაც კი, რომ რუსულ ადმინისტრაციას ოდესმე გაეთვალისწინებინოს ქართული საზოგადოებრივი აზრი და რაიმე საკითხი ქართული ინტერესების სასარგებლოდ გადაეწყვიტოს.

რაც შეეხება 1886 წლის სტატისტიკურ მონაცემებში ქართველი მაჰმადიანების მრავლად დაფიქსირებულ ქართულ გვარებს, ა. იუნუსოვს ისინი მათ მიერ მითვისებულად და ხელოვნურად შეკოწიწებულად მიაჩნია. ა. იუნუსოვის მთელი მსჯელობა 1944 წლის 14 ნოემბერს სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მაჰმადიანი მოსახლეობის თურქული წარმომავლობის დამტკიცებისკენაა მიმართული. ა. იუნუსოვი თავის ნაშრომის დასკვნით ნაწილში გვაუწყებს, რომ ახ.წ. II საუკუნიდან მესხეთში დამკვიდრებული თურქული ტომები სწრაფად ერწყმოდნენ ერთმანეთს და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ასიმილაციას არ განიცდიდნენ. გადამწყვეტი როლი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე თურქების ისტორიაში შეუსრულებია ორ ფაქტორს: XI და XII სს. ილუზებისა და ყივჩაღების ჩამოსახლებას და მესხეთის ოსმალეთის მიერ დაპყრობას. ოსმანთა პერიოდში (XVI და XVIII სს.ძ მრავალრიცხოვანი თურქული ტომებისა და ქართული მოსახლეობის მცირე ნაწილის საბოლოო კონსოლიდაცია და ახალ თურქულ ეთნოსად ფორმირება მოხდა.

ანატოლიელ და აზერბაიჯანელ პანთურქებთან სრულ უნისონში არიან 1944 წლის 15 ნოემბერს სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული პროვოკატორი ლიდერები. 1999 წელს ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში ყოფილი ახალციხის საფაშოს თურქთა (მესხეთელ თურქთაძ მეორე ყურულტაის (ყრილობისძ მიერ მიღებული მიმართვა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს გაეგზავნა. განცხადებას ხელს აწერს თურქი მესხეთელების (ყოფილი ახალციხის ფაშალიყისძ ფედერაციის ასოციაციის თავმჯდომარე მაქსუტ იზატოვი.

ამ მონაროშ აბდა-უზდაში მესხეთი ჩვ.წ-მდე II საუკუნიდან თურქთა სამშობლოდაა გამოცხადებული. ი. ჭავჭავაძეს მესხეთელი თურქების გენოციდის იდეური მამამთავრობა ბრალდება. საქართველოს ხელისუფლდებას ნაციზმში და რასიზმში ადანაშაულებენ. განცხადების ავტორები სთხოვენ ადრესატებს ჩათვალონ თურქი მესხეთელები ახალციხის საფაშოს მემკვიდრეებად და მესხეთი თურქეთის იურისდიქციაში შეიყვანონ.

როგორც იტყვიან, სახეზეა სამცხე-ჯავახეთის მიტაცების მეცნიერული და სამართლებლივი დასაბუთების მცდელობა.

სამწუხაროდ, პანთურქისტების მოსაზრებებს ნაწილობრივ იზიარებს ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, რომლებიც სამცხე-ჯავახეთიდან 1944 წელს დეპორტირებული მაჰმადიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის არაქართულ წარმომავლობას ამტკიცებენ. ამ მოვლენას თავისი ობიექტური მიზეზი აქვს.

სამცხე-ჯავახეთიდან 1944 წლის ნოემბერში გამაჰმადიანებული ქართველების შუააზიის რესპუბლიკებში და ყაზახეთში დეპორტაციამ ქართული საზოგადოების შეგნებული ნაწილის მწუხარება გამოიწვია. განსაკუთრებით განიცდიდნენ ამ ფაქტს პავლე ინგოროყვა, სარგის კაკაბაძე, სიმონ ჯანაშია. გასული საუკუნის 50-60-იან წლებში, როდესაც დეპორტირებული მაჰმადიანი ქართველები სამშობლოში დაბრუნებას ცდილობდნენ, ამ საქმეში მათ გვერდში edgnen ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: პავლე ხუჭუა, ჯამბაკურ ბაქრაძე, გიორგი ჩიტაია და სხვები. აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი მაჰმადიანი მესხების მოძრაობის ლიდერს ლატიფშა ბარათაშვილს საქართველოს საქ. კპ ცკ-ის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძისადმი გასაგზავნი წერილის შედგენაში დაეხმარა.

თავდაპირველად დეპორტირებულთა მოძრაობაში არავითარი თურქული ორიენტაცია არ არსებობდა. შემდეგში თვით პროთურქული ორიენტაციის ლიდერიც ენვერ ოდაბაშევი (ხოძრევანიძეძ თავს ქართველად აღიარებდა. ვითარება მკვეთრად შეიცვალა 1968 წლის ზაფხულის ცნობილი მოვლენის შემდეგ. 1968 წლის ზაფხულში მაშინდელ კომუნარების ბაღში შეკრებილი მომიტინგეები ხელისუფლებამ სასტიკად დაარბია. დარბევას უშუალოდ ხელმძღვანელობდა იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე. ამ ფაქტის შემდეგ დეპორტირებულთა ლიდერების ერთმა ნაწილმა და მათ შორის ენვერ ოდაბაშევმა (ხოზრევანიძეძ მკვეთრად შეიცვალა პოზიცია და პროთურქული ორიენტაციის გზას დაადგნენ. საკავშირო სუკი ყველანაირად უწყობდა ხელს დეპორტირებულთა შორის პროთურქული ორიენტაციის დანერგვას, რათა ამით დეპორტირებულთა მასაში განხეთქილება შეეტანა და მათი სამშობლოში დაბრუნებისათვის საფუძველი გამოეცალა. ხელისუფლებამ აზერბაიჯანიდან გალის რაიონში შესახლებული მესხთა ოჯახები გაასახლა, რასაც მაჰმადიანმა ქართველებმა მე-2 დეპორტაცია უწოდეს. გალიდან დეპორტირებულთა დიდი ნაწილი ყაბარდო-ბალყარეთში ქ.ნ.ალჩიკის შემოგარენში დასახლდა. ამ მოვლენების შემდეგ დეპორტირებულთა მოძრაობა ორ მკვეთრად დაპირისპირებულ — პროქართულ და პროთურქულ ორიენტაციებად დაიყო.

ლატიფშა ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ პროქართულ ორიენტაციას სათავეში მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, პროფესიით პედაგოგი (ისტორიკოსიძ ხალილ უმაროვი (გოზალიშვილიძ ჩაუდგა.

1968-72 წლებში უზბეკეთში სამარყანდის ოლქის ბულუნგურის რაიონში მებაღეობა-მევენახეობის მეურნეობაში მცხოვრები დეპორტირებული მესხები მოინახულა გულო ანანიაშვილმა. მანვე დააკავშირა პროქართული ორიენტაციის ლიდერები: ხალილ გოზალიშვილი, ალიხან ყურაძე, ისმიხან ხოზრევანიძე, ზინალი ლაზიშვილი საქართველოში 70-იან წლებში მე-2 ნახევარში მოქმედ დისიდენტებთან — ჰელსინკის ჯგუფის წევრებთან: ზვიად გამსახურდიასთან, მერაბ კოსტავასა და ვიქტორ რცხილაძესთან.

ქართული საზოგადოების დიდმა ნაწილმა სწორედ ამ ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული თვითგამოცემებიდგან („ოქროს საწმისი“, „საქართველოს მოამბე“ძ შეიტყო სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მაჰმადიანი ქართველების შესახებ. ვ. რცხილაძემ ბრწყინვალე რეპორტაჟი მოამზადა და გამოაქვეყნა ჟურნალ „ოქროს საწმისში“ პროქართული ორიენტაციის მაჰმადიანი მესხების მიერ ნალჩიკში ჩატარებული მიტინგის შესახებ. მაჰმადიანი ქართველების 10 000 ოჯახმა თავიანთი ძველი ქართული გვარები საქ.კპ ცკ-ს მიაწოდა და ქართული ეროვნების აღდგენა მოითხოვა. საქართველოს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, სიმპათიით განიმსჭვალა მაჰმადიანი მესხებისადმი. 1978 წლის 14 აპრილს, როდესაც ქართველი ახალგაზრდობა ქართული ენის დასაცავად მთავრობის სახლის წინ შეიკრიბა. მათ გამოტანილი ჰქონდათ მაჰმადიანი მესხების დაბრუნების მოთხოვნის პლაკატი: „დავაბრუნოთ მესხები!“.

ჰელსინკის ჯგუფის დაპატიმრების შემდეგ პროქართული ორიენტაციის ლიდერები ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში არსებულ პატრიოტულად განწყობილ ჯგუფს (გივი ლამბაშიძე, დავით აბაშიძე, თამაზ ბერაძე, ლულუ კოპალეიშვილი, ლეილა მირიანაშვილიძ დაუკავშირდნენ.

1978 წლის შემოდგომაზე ოზურგეთის რაიონის სოფელ ნასაკირალში ჰელსინკის ჯგუფის მიერ ჩასახლებულ მესხთა ოჯახებს პრობლემა შეექმნათ. იმდროინდელი ხელისუფალნი მოითხოვდნენ, რომ ჩასახლებულებს არ უნდა მოეთხოვათ გვარებისა და ეროვნების აღდგენა, რასაც მესხები არ დაეთანხმნენ. შეიქმნა საშიშროება, რომ მათაც გაასახლებდნენ. გურამ მამულიამ, გივი ლამბაშიძემ, ჯუმბერ კოპალიანმა და ირაკლიl ჯანდიერმა მოინახულეს ნასაკირალში მაჰმადიანი ქართველები. მათ დიდი ძალისხმევა დასჭირდათ იმისათვის, რომ ალიხან ყურაძის, ისმიხან ხოზრევანიძისა და ზინალი ლაზიშვილის ოჯახები ნასაკირალში დაეტოვებინათ. შემდეგ აღნიშნული ჯგუფი აწ განსვენებული შ. ლომსაძის ოჯახში პროქართული ორიენტაციის ლიდერს (თამამად შეიძლება ითქვას — მაჰმადიანი მესხების თამარაშვილსძ შეხვდნენ. ხალილ გოზალიშვილთან ერთად ამ ჯგუფმა საქ კპ სკპ-ის პირველ მდივანთან გასაგზავნი პეტიცია შეადგინა, რომელსაც ხელი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისა და ხელოვნების მუშაკთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მოაწერა.

1978 წლის დეკემბერში შევარდნაძესთან შეხვედრაზე ბატონმა გივი ლამბაშიძემ საქართველოში პროქართული ორიენტაციის მესხების ოჯახების ჩამოსახლების ეტაპობრივი გეგმა წარადგინა, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს ქართველებით დასახლებულ რეგიონებში 15-20 კომლის გასახლებას ითვალისწინებდა, რაც მათ ადაპტაციას და ქართულ ეროვნულ წიაღში დაბრუნებას ხელს შეუწყობდა. ჩამოსახლებულებს აღუდგებოდათ ქართული გვარები და ეროვნება, ახალგაზრდებს კი ქართულ სკოლებში უნდა მიეღოთ განათლება. შემდეგ ხანებში საქ. კპ ცკ-ს მაჰმადიანი მესხების სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები სტუმრობდნენ და შევარდნაძე მათ ჰპირდებოდა, რომ ყოველწლიურად მიიღებდნენ 200-300 კომლს და მუსიკითა და ყვავილებით დახვდებოდნენ. მაგრამ ყოველივე ეს ფუჭი დაპირებები იყო. მათ სამშობლოში დაბრუნებას საკავშირო სუკი უპირისპირდებოდა. დეპორტირებულთა მასაში ისინი აქტიურად ნერგავდნენ პროთურქულ განწყობილებას. კიდევ უფრო გაიზარდა დაპირისპირება პროქართულ და პროთურქულ ლიდერებს შორის. ხშირი იყო პროთურქულად განწყობილი ლიდერების მხრივ პროვოკაციული გამოხტომები. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობით იუსუფ სარვაროვი (დიდებულიძეძ გამოირჩეოდა. მაშინდელმა საქართველოს ხელისუფლებამ პროქართული ორიენტაციის ლიდერებს სათანადო თანადგომა ვერ აღმოუჩინა, რამაც პროთურქული ორიენტაციის აღორძინებასა და მის შემდგომ გაძლიერებას ხელი შეუწყო.

**ზურაბ ცინცაძე**

(გაგრძელება იქნება)

**გაგრძელება. დასაწყისი**
**იხ. „სრ“ № 198-199.**

## ◎ ინფორმაცია

### ქიბარს ექებენ — ნიაზს იჭერენ

ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ძმა, ნიაზ ხალვაში, რომელიც ბათუმში დააკავეს, კვლავ პატიმრობაში რჩება.

დაკავების მიზეზები ჯერ უცნობია.

ნიაზ ხალვაშის დაკითხვა სამი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ დრომდე მასთან გასაუბრება ვერ მოახერხა ოჯახის მიერ აყვანილმა ადვოკატმა რამინ პაპიძემ.

ამასთან, ხალვაშს უკვე შეხვდა სახალხო დამცველის წარმომადგენელი გიორგი ჩარკვიანი. მასთან პირად საუბარში ხალვაშმა განმარტა, რომ დაკავებული არ არის და ადვოკატზე უარი თავად თქვა.

ნიაზ ხალვაში „არტ ჯგუფში“ შემავალი ერთ-ერთი კომპანიის „პრიზას“ აქციების 51 პროცენტის მფლობელია.

### ოპოზიციას ბარიერის დაწევით ვერ დააინტერესებ

დრო, როდესაც საარჩევნო ბარიერის დაწევა ოპოზიციასთან დიალოგის დაწყების საბაბი შეიძლებოდა გამხდარიყო, პრეზიდენტს გაეპარა.

ასეთი შეფასება მისცა საუბრისას ექსპერტმა გია ხუხაშვილმა პრეზიდენტის ინიციატივას.

მისივე აზრით, ბარიერის 7-დან ხუთ პროცენტამდე დაწევა ოპოზიციისთვის საინტერესო აღარ არის. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი და უმრავლესობა ოპოზიციის ამ საკითხით დაინტერესებას ვეღარ მოახერხებენ.

რაც შეეხება საპარლამენტო უფლებამოსილების ვადის 5 წლამდე გაზრდას, ხუხაშვილის განცხადებით, შესაძლოა, ეს პრეზიდენტის მიერ უმრავლესობისთვის გადაგდებული „სატყუარა“ იყოს.

— უმრავლესობაში მრავლად მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც, სიტუაციიდან გამომდინარე, ახალ სათადარიგო პოლიტიკურ პლატფორმას შეიძლება იმზადებდნენ. არ არის გამორიცხული, პრეზიდენტმა უმრავლეობაში ეს ბიძგი უკვე იგრძნო, — აღნიშნა ხუხაშვილმა.

ექსპერტის თქმით, უმრავლესობასთან პრეზიდენტის შეხვედრა სპონტანური ხასიათის იყო და უმრავლესობის კონსოლიდაციის მცდელობას მიაგავდა.

რაც შეეხება ოლიგარქებთან ხელისუფლების გადანაწილების შესახებ პრეზიდენტის განცხადებას, როცა მან კახა ბენდუქიძის ნათქვამი გაიხსენა, ხუხაშვილის თქმით, პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, რომ არც ასეთ და არც ეკონომიკურ საკითხებში ბენდუქიძე სანდო წყარო არ არის.

ინტერპრესნიუსი

# პრობლემათა წყება

● დიდ პოლიტიკაში პუტინის დარჩენა და მის ოპონენტებად შედარებით გამოუცდელი ახლების მოსვლა, გარკვეულ ფორას აძლევს რუსეთს, რაც სერიოზულად გასათვალისწინებელია საქართველოს ხელისუფლებისათვის და არანაკლებად – ოპოზიციისათვის




◉ ეკონომიკა

## წელგამართული ლარი და წელში გაწყვეტილი ხალხი

**ასეა, ჩვენი სანაქებო ლარი ქართულ ჩოხაში გამოწყობილ მოცეკვავესავით იჯგიმება, ხალხი კი, რომელიც სიხარულით ცრემლსავსე თვალებით შესცქერის მწვანე კუპიურასთან ორთაბრძოლაში მის მიერ დაგროვილ ქულებს, გაჭირვებისგან წელში წყდება.**

პარადოქსია არა? თანაც ისეთი პარადოქსი, რომლის დაშიფვრას ერთნაირად არიდებენ თავს როგორც ამქვეყნიური სიკეთით მოყირჭებული ქართველი ხელისუფალნი, ისე ეროვნული ბანკის ყოფილი და ამჟამინდელი მმართველნი, რომელნიც ლარს გაუფასურებული ამერიკული დოლარით მოჭარბებულად ჭყირპავენ და ამით სამომხმარებლო ბაზარზე მოთარეშე ინფლაციას მსუყე საგზალს სთავაზობენ.

აბა სცადე და, ამის გამო საყვედური ვინმეს შებედე. სულ კუდით ქვას გასროლინებენ, ეროვნული ვალუტისა და, საერთოდ, მშობლიური ქვეყნისადმი ღალატს დაგწამებენ. არადა, მწარე რეალობას საით გაურბიხარ – ყოველდღიურად ლარის ყულაბა ახალ-ახალი ქულებით ივსება, მომხმარებლის ისედაც გავხრეტლი ჯიბე კი ცარიელდება და ცარიელდება.

თავად განსაჯეთ, ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, ლარის კურსი დოლართან მიმართებაში ბოლო ორ წელიწადში მთელი 60 პუნქტით გამყარდა, ცხოვრება კი ამდენივე, და ალბათ უფრო მეტი, პუნქტით (ამის სტატისტიკა რატომღაც არ არსებობს!) გაძვირდა. ეს ის შემთხვევაა, როცა იტყვიან – ლარი გარეთ მტერს უბრმავებს თვალებს და შიგნით მოკეთესო.

კი ბატონო, გსიმოვნებს როცა ხედავ, ლარი დოლართან მიმართებაში ყოველდღიურად როგორ მყარდება, მაგრამ შენს ჯიბეში რომ ყოველ საათსა და ყოველ წუთს უფასურდება, ეს როგორი ასატანია? რით გინდა ირჩინოს თავი უმუშევარმა, გნებავთ, პენსიონერმა, რომლის 48 ლარი კაცს წამლის ფასადაც არ გასწვდება?

შექმნილი მდგომარეობიდან ანალიზის გაკეთება შეიძლება მთავრობას გაუჭირდეს (!), მაგრამ მის გარდა ყველა ხედავს და გრძნობს, რომ ლარი რეალურად კი არა, ხელოვნურად მყარდება, რაც ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის თითოეულ სუბიექტზე და მთლიანად ეკონომიკის ზრდაზე მომაკვდინებელ გავლენას ახდენს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეროვნული ვალუტის არარეალური კურსი უარყოფითად მოქმედებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ბალანსზე. შემთხვევითი არ გახლავთ, რომ დღეს დადებითი სავაჭრო ბალანსი საქართველოს 100 პარტნიორი ქვეყნებიდან მხოლოდ 17 ქვეყანასთან აქვს. ადგილობრივი ბაზარი მთლიანად წალეკა უცხოურმა საქონელმა, რომელმაც დახლებიდან თანდათან გამოდევნა ეროვნული წარმოების პროდუქტი. ამაში წვლილი, ექსპერტთა აზრით, ლარსაც მიუძღვის, რომლის კურსის მოჩვენებითმა ზრდამ ქართველი ექსპორტიორები ფინანსურად აზარალა.

ეს როგორაო? – გაიკვირვებს ზოგი. უბრალოდ, ეროვნული ვალუტის გამყარება ჩვენს ექსპორტიორებს პროდუქტს მნიშვნელოვნად უძვირებს და მას უცხოეთის ბაზარზე ნაკლებ კონკურენტუნარიანს ხდის, ეს, რა თქმა უნდა, ზარალთან ერთად, ანელებს ქართველ ექსპორტიორთა ინტერესს საზღვარგარეთის ქვეყნებში პროდუქციის გასატანად, რაც ბუნებრივად იწვევს უკურეაქციას – საქართველოში იმპორტი სულ უფრო სწრაფი ტემპით ავიწროებს ექსპორტს.

და აი შედეგიც: საქართველოს საგარეო სავაჭრო სალდომ საგანგაშო ზღვარს მიაღწია – ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობა უკვე 2,3 მილიარდ დოლარს აღემატება. და ეს სხვაობა, ჩვენდა სამწუხაროდ, კი არ იკლებს, თანდათან მატულობს. ამის დასტურია შარშანდელი წელიც, როცა იმპორტის წილმა ექსპორტის ხარჯზე 700 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

ასეთ ვითარებაში, როგორ ფიქრობთ, რა უნდა მოიმოქმედონ ქართველმა ექსპორტიორებმა, რომ თავი ირჩინონ? ისევ და ისევ ნაცად ხერხს უნდა მიმართონ – უცხეთის ბაზარი ჯართით, ალუმინით და სპილენძით უკლებლივ მოამარაგონ, თანაც ტრანსპორტირება ძვირი რომ არ დაუჯდეთ, ეს ულევი „მადანი" მეზობელ ქვეყანაშივე (თურქეთი) გაიტანონ. ამიტომ გასაკვირი სულაც არ არის, რომ

➡

◉ გლობუსი




## თვალის გახელა და

**მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ საკითხებში ნაკლებად შეინიშნება ძვრა უკეთესობისკენ. გამორჩეულად, კვლავ კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხია. ბელგრად-პრიშტინას მოლაპარაკება, რომელიც დროდადრო იმართება, საბოლოო დასკვნამდე, ანუ შეთანხმებამდე ვერ მიდის. ძნელი წარმოსადგენია შეუთანხმებლის შეთანხმება, რაც თავიდანვე ცნობილი იყო.** მრავალი წლის მუშაობის შედეგად ევროპამ და ამერიკამ ბევრი იღვაწეს კოსოვოს სერბეთიდან საგრძნობი დისტანცირებისთვის. ფაქტობრივი დამოუკიდებლობა, რომელიც დასავლეთმა კოსოვოს უბოძა, სახეზეა, მისი უკან შემობრუნება თითქმის შეუძლებელია, საუბარი იმაზე, რომ კოსოვო რაღაც სტატუსით დაუბრუნდეს სერბეთთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას, უტოპიასავით მოსჩანს. გაეროს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრიდან კოსოვოს დამოუკიდებლობას ნეგატიურად რუსეთი მიიჩნევს. არამუდმივი წევრი ქვეყნებიდან კი რუსეთის პოზიციას ბევრი იზიარებს. სწორედ მოსკოვის მტკიცე პოზიციამ შეაჩერა უშიშროების საბჭოს უკვე გამზადებული გადაწყვეტილება კოსოვოს დამოუკიდებლობის თაობაზე. რუსეთს მიაჩნია, რომ ეს პრობლემა ბელგრად-პრიშტინას მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს და არა დიდი სახელმწიფოებისა და პრიშტინას გარიგებით. დასავლეთის ვარაუდის საწინააღმდეგოდ, რომ რუსეთი პოზიციას შეიცვლის, უშედეგო გამოდგა. რაც უფრო მეტი დრო გადის, კრემლის პოზიცია კიდევ უფრო მტკიცდება. რუსეთმა კარგად იცის, რომ ბელგრად-პრიშტინას მოლაპარაკება კონსენსუსამდე, შეიძლება წლობით გაიჭიმოს, მაგრამ ეს მას ნაკლებად ადარდებს. დრო ყველაფრის მკურნალია და არავინ იცის, დღევანდელი პრობლემა რა რეზონანს გამოიწვევს ხვალ.

კოსოვოს პრობლემა ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო იმ დღის წესრიგში, რომელიც განიხილეს მოსკოვში საფრანგეთის პრეზიდენტის სარკოზის პირველი ოფიციალური ვიზიტის და აშშ-ს სახელმწიფო და თავდაცვის მდივნების რაისისა და გეიტსის პუტინთან მოლაპარაკების დროს. კრემლის პოზიცია იმაზე მეტად მყარი გამოდგა, ვიდრე ადრე. ოფიციალური მოსკოვის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა მეტ თავდაჯერებულობას იხვეჭს, რაც განპირობებულია პუტინის გადაწყვეტილებით აქტიურ პოლიტიკოსად დარჩენის თაობაზე. ამ განცხადებით წერტილი დაესვა როგორც შინა, ისე გარე პოლიტიკოს-პოლიტოლოგთა ვარაუდებს და მარჩიელობას რუსეთის მომავალ მმართველთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, კრემლის პოლიტიკა მომავალშიც გაგრძელდება.

კოსოვოს დამოუკიდებლობა რომ გავლენას იქონიებს მსოფლიოზე და ახალი გადანაწილების ნაპერწკალი გახდება, ამაში ეჭვი ამერიკელ ექსპერტებსაც არ ეპარებათ, მაგრამ ამერიკის ადმინისტრაციისა და მასთან ახლო მყოფი სპეციალისტების მოსაზრება საწინააღმდეგოა. მათი აზრით, კოსოვოსთან დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხი უნიკალურია და ის სხვაზე არ გავრცელდება, რუსეთისთვის ეს პრიმიტიული მოსაზრება მიუღებელია. მიუღებელი უნდა იყოს ის ჩვენთვისაც, მაგრამ უზომოდ პროამერიკული საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის პოზიციაც ზუსტად ისეთია, როგორც ვაშინგტონის.

იმ შემთხვევაში, თუ კოსოვოს, სხვადასხვა გზით (და ასეთი არსებობს ვაშინგტონსა და ბრიუსელში) მიეცა დამოუკიდებლობა, რუსეთი ცნობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან ამაოა იმის მტკიცება, რომ რუსეთი ვერ გაბედავს ამას, ის ანგარიშს გაუწევს აშშ-ს და დასავლეთს, არც იმით დაიმედება მოგვიტანს სიკეთეს, რომ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ცნობა ბუმერანგივით დაუბრუნდება რუსეთს, რამეთუ მასაც შეექმნება სეპარატიზმის პრობლემები და თუ ამას ექნა ადგილი, აბურდული ჩრდილო კავკასია რა თვალით შეხედავს საქართველოს?

ნაკლებად დასაჯერებელია, პუტინის დღევანდელმა პოლიტიკამ, ჩვენს ტერიტორიულ პრობლემებთან დაკავშირებით მომავალში ჩვენთვის გასახარი სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადოს. პირიქით, ის კიდევ უფრო მკაცრი გახდება.

ერთი წლის შემდეგ აშშ-ს ახალი პრეზიდენტი და ახალი ადმინისტრაცია ეყოლება. სრულიად მოსალოდნელია – დემოკრატი. ტრადიციულად დემოკრატები მოსკოვთან უფრო მკაცრი ურთიერთობების მომხრენი არიან, მაგრამ ქვეყნის სათავეში მისვლის შემდეგ, არსებულ მსოფლიო ვითარებიდან გამომდინარე, პოზიციები კარდინალურად იცვლებოდა. ასე იყო თუნდაც რესპუბლიკელების ნიქსონისა და რეიგანის თეთრ სახლში შესვლის შემდეგ. ვეჭვობ, რომ რუსეთთან ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდება ამერიკის არჩევნების შემდეგ.

მსოფლიო პოლიტიკაში ახალი სახეები ჩნდება, თუმცა მათ მთლად ახალ სახეებად ვერ ჩავთვლით, ვინაიდან ისინი კარგა ხანია აქტიურად მოქმედებენ საკუთარი ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ პირველი პირობა სხვა არის. სარკოზის, ბრაუნს, მერკელს, პროდის, იაპონიისა და აშშ-ს ახალ ხელმძღვანელებს მომავალშიც საუბარი პუტინთან ექნებათ – რუსეთის იმ ხელმძღვანელთან, რომელმაც 8 წლის განმავლობაში სერიოზული გამოცდილება შეიძინა პოლიტიკური დიალოგისა და ბრძოლის დარგში. მკითხველი დამეთანხმება იმაში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დიდ პოლიტიკაში ქვეყნის პირველი პირის გამოცდილებას. გამოცდილ სახელმწიფო მმართველთან დიალოგს ოპონენტი სხვა თვალით უყურებს, სხვაგვარად ზომავს და აფასებს და აქედან გამომდინარე, პუტინის დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხისადმი ახალი დასავლელი პარტნიორებისათვის, თუნდაც მათი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე, გასათვალისწინებელი იქნება, რაც დამტკიცდა კიდევაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის და პრეზიდენტის რუსეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკების დროს. მოსკოვში გამგზავრებამდე საფრანგეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კუშნერმა განაცხადა, რომ საფრანგეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთთან პარტნიორული დამოკიდებულებისა და მეგობრობის ხარისხს, კავშირებს, რომელიც აახლოებს ორ სახელმწიფოს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა მოიხსნას ანტირუსული მუქი სათვალეები და თუ სურვილი აქვს, გადაწყვიტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სხვა სასაუბრო ენა, სხვა ხერხი უნდა გამოიძებნოს რუსეთთან დამოკიდებულების გასაუმჯობესებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტობრივად, დაკარგულ ტერიტორიებს საბოლოოდ გამოვემშვიდობებით.

დიდ პოლიტიკაში პუტინის დარჩენა და მის ოპონენტებად შედარებით გამოუცდელი ახლების მოსვლა, გარკვეულ ფორას აძლევს რუსეთს, რაც სერიოზულად გასათვალისწინებელია საქართველოს ხელისუფლებისათვის და არანაკლებად – ოპოზიციისათვის.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რუსეთისათვის ერთობ დაუჯერებელი იქნება თბილისის მოსკოვისაკენ შებრუნება. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ნათქვამი ავსიტყვაობის დაგროვილი ზვინების გაწმენდას დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია. დაუჯერებელია ის ზღაპარიც, რომ ნატოში საქართველოს შესვლა გადაარჩენს საქართველოს და მოაგვარებს ტერიტორიულ საკითხებს. აღნიშნულთან დაკავშირებით გარკვევით ითქვა საწინა-

# პრობლემათა წყება

**ასე რომ, ლოდინი მოგვიწევს. რუსეთის ბაზარმა კარი კვლავაც რომ გაგვიღოს, იქ ადრინდელი ოდენობით ჩვენი ღვინო და მინერალური წყლები მაინც ველარ შევა, რადგან მათი ადგილი უკვე სხვა ქვეყნებიდან შეტანილმა პროდუქციამ დაიკავა**



ასეთი პროდუქციის (ჯართისა და ლითონისძ მთლიანი ექსპორტის 20 პროცენტი ამ ქვეყანაში გადის. რაღა თქმა უნდა, თავის მხრივ, თურქი ექსპორტიორებიც აქტიურობენ და ქართველ მომხმარებელს საეჭვო ხარისხის ფქვილით, კარტოფილით, საკონსერვო ნაწარმითა და სხვა უამრავი პროდუქციით ანებივრებენ.

რას აკეთებენ ამ დროს საქართველოს ხელისუფლების „პროტექციონისტი“ მესვეურნი? ისინი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც „პროტექციონერობენ“ უცხოელ ექსპორტიორებს და საბაჟო გადასახადების განულებით მათ ჩვენს ბაზარზე ხელსაყრელ პირობებში აყენებენ. მერე რა, რომ ასეთი პოლიტიკის გამო, საქართველოში სამამულო პროდუქციის წარმოებამ აზრი დაკარგა და ის თითქმის მთლიანად უცხოურმა საქონელმა ჩაანაცვლა! ეს, მთავრობის აზრით, სულაც არ არის საგანგაშო და ხელისუფლების განსაქიქებელი, რადგან ეს უკანასკნელი მთელი ძალისხმევით იბრძვის მსოფლიოში ახალი ბაზრების მოსაპოვებლად და ასათვისებლად.

მაგრამ მიაღწევს თუ არა ამ სანუკვარ მიზანს საქართველოს ხელისუფლება, ან როდის მიაღწევს, ამის პასუხი დღეს ბევრ მეოცნებესაც კი გაუჭირდება. ექსპერტთა აზრით, რუსეთის უზარმაზარი და ჩვენთვის ხელსაყრელი ბაზრის დაკარგვა გაცილებით იოლი იყო, ვიდრე ახალი ბაზრების მოძიება-ათვისება. საქმეს ისიც ართულებს, რომ დღევანდელ საქართველოში ნაკლებად ან საერთოდ არ იწარმოება ისეთი საქონელი, რომელსაც ხარისხით და პროდუქციის მოცულობით უცხოეთის ბაზრებზე თავის დამკვიდრება შეუძლია.

ასე რომ, ლოდინი მოგვიწევს. რუსეთის ბაზარმა კარი კვლავაც რომ გაგვიღოს, იქ ადრინდელი ოდენობით ჩვენი ღვინო და მინერალური წყლები მაინც ველარ შევა, რადგან მათი ადგილი უკვე სხვა ქვეყნებიდან შეტანილმა პროდუქციამ დაიკავა. რაც შეეხება ლარს, ისე არავინ გაგვიგოს, რომ მისი გამყარების წინააღმდეგი ვართ. ლარის შემდგომ წარმატებას მივესალმებით, მაგრამ იმ პირობით, რომ მისი გამყარება ხელოვნურად კი არა, რეალურად ხალხის ცხოვრების დონის, ეკონომიკის ზრდის მყარ გარანტად იქცეს.

**ოთარ ხუციშვილი**

**სოფელი**

# არ იფიქრეს, გააუქმეს, იფიქრეს და აღადგინეს!

## სოფლის მეურნეობის სამხარეო სამმართველოები ისევ შეიქმნა

*სოფლის მეურნეობა ყოველთვის პრიორიტეტული იყო. მაგრამ ხელისუფლებამ ამ სფეროსთან დაკავშირებული ბევრი სამსახური ერთი ხელის მოსმით გააუქმა. ერთ-ერთი ასეთი რგოლი იყო სოფლის მეურნეობის სამმართველოები. ქვეყანაში კრიზისმა იჩინა თავი. გლეხებს და ფერმერებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ, დაიკარგა გლეხსა და ხელისუფლებას შორის დამაკავშირებელი რგოლი. ეროვნული პროდუქციისთვის ხელმიუწვდომელი გახდა ადგილობრივი ბაზარი, მოიშალა სტატისტიკა. უცნობია, სად რა ითესება, რამდენი იხვნება, როგორი მოსავლიანობაა... განსაკუთრებული ქაოსი კი მიწების პრივატიზაციის პროცესს მოჰყვა.*

როგორც დედოფლისწყაროს გამგეობის პრეს-სამსახურში აცხადებენ, ადგილობრივი სამმართველოების შექმნის საკითხი ისევ დღის წესრიგში დადგა. ორიოდ თვის წინათ, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა კიდეც სამხარეო სამმართველოები.

„— სამმართველოებმა უნდა მოაგროვონ სამეურნეო პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციები, შეისწავლონ პრობლემები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს მიაწოდონ მოსახლეობის აზრი და მოთხოვნები.. გარე კახეთის სამხარეო სამმართველოდან მთავარ სპეციალისტად დედოფლისწყაროში მოვლენილია ლევან ჯამალაშვილი, რომელსაც ადგილობრივები კარგად იცნობენ“. — აცხადებს დედოფლისწყაროს გამგებლის პრეს-მდივანი ანა ბენაშვილი.

უკვე გაიმართა ფერმერების შეხვედრა ხორბლის თესლის მწარმოებელ კომპანია შპს „ბეგი-კომპანის“ წარმომადგენელთან, რომელიც გარკვეული პირობებით მეურნეებს ხორბლის თესლის შესყიდვაში დაეხმარება.

**ილია მარტყოფლიშვილი**

**გლობუსი**

# გამოფხიზლება აუცილებელია

ალმდეგო ნატოს გენერალური მდივნის სხეფერის საქართველოში ვიზიტის დროს, ისე, როგორც საფრანგეთის საგარეო და თავდაცვის მინისტრების მხრიდან. უაღრესად ოპტიმისტი უნდა იყო, რომ ამ განცხადებებში საქართველოსთვის პოზიტიური ამოიკითხო. აშშ-ს ადმინისტრაცია წამსვლელია. ის, როგორც ადრე, ვერ შეძლებს დასავლელი პარტნიორების დაყოლიებას საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. აშშ-ს ახალი პრეზიდენტი კი ვიდრე საქართველოსთვის მოიცლის, საკმაო დრო გავა.



რაის-გეიტსის მოსკოვის ბოლო მოლაპარაკების დროს კვლავ გაიხილეს აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების, განთავსების გეგმა. მოსკოვი ვაშინგტონის გადაწყვეტილებას ანტირუსულად აღიქვამს და მაქსიმალურად ცდილობს ამერიკელებს გადააფიქრებინოს ჩანაფიქრი. თუმცა, როგორც ჩანს, მოსკოვის მცდელობა უშედეგო იქნება. მოსკოვში ყოფნის დროს გეიტსმა განმარტა, სისტემა არ არის მიმართული რუსეთის წინააღმდეგ. მისი მიზანი ირანის ჯერ არარსებული რაკეტებისგან ევროპა-ამერიკის დაცვააო. მკითხველისთვის ცნობილია ვაშინგტონისათვის პუტინის შეთავაზება აზერბაიჯანში არსებული გაბალის რადიოსალოკაციო სისტემის ერთობლივად გამოყენების თაობაზე. ამერიკელები გამოეხმაურენ პუტინის წინადადებას, მათ მოინახულეს ის სადგური, თუმცა ისევ ძველ პოზიციაზე დარჩნენ, რაც არ იყო გასაკვირი, ვინაიდან გაბალის სადგური, რომელიც არა მარტო ირანს და ახლო აღმოსავლეთს, არამედ აზია-აფრიკასაც აკონტროლებს, არ მოიცავს რუსეთს, ეს კი ამერიკელებისთვის მიუღებელია. აქედან გამომდინარე, გეიტსის განცხადება, რომ ჩეხეთ-პოლონეთში განთავსებული სისტემები, არ იქნება რუსეთის წინააღმდეგ მიმართული, ნაკლებად დასაჯერებელია. მოსკოვის მოლაპარაკების ეს ძირითადი საკითხი ისე, როგორც ირანის მიერ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა, უშედეგოდ დასრულდა.

ოფიციალური ვაშინგტონის პოზიცია ირანთან მიმართებაში, რომელიც ხანდახან „ჟონავს“ ამერიკულ პრესაში, არ გამორიცხავს ირანზე საჰაერო თავდასხმასაც. სიტყვით ვაშინგტონი მზადაა გააგრძელოს დიპლომატიური მოლაპარაკება, თუმცა ასეთი რამ იშვიათად ხდება. პარალელურად არსებობს ამერიკელ პოლიტიკოსთა მკვეთრი ანტიირანული მოსაზრებაც, რომელსაც არცთუ იშვიათად აქვეყნებს დასავლეთის პრესა. ამას წინათ აშშ-ს ყოფილმა წარმომადგენელმა გაეროში ბოლტონმა ბალეკპულში (დიდი ბრიტანეთიძ გამოსვლის დროს აღნიშნა, რომ ირანთან მიმართებაში, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა პრობლემის წყაროს — აჰმადინეჟადის ლიკვიდაცია. მან ისიც აღნიშნა, რომ ყველაზე მისაღებ ვარიანტად თვლის ირანზე საჰაერო თავდასხმას და ამ ქვეყნის მმართველი რეჟიმის შეცვლას. „თავის დროზე აშშ ახორციელებდა სხვა ქვეყნებში სახელმწიფო გადატრიალების საიდუმლო გეგმების შედგენას. გული მწყდება, რომ არ მივმართავთ ამ მეთოდს!“

ბოლტონის საჯარო განცხადება შემაშფოთებელია, პოლიტიკაში ჩახედულმა ექსპერტებმა კარგად იციან, რომ ბოლტონის სიტყვები მარტო წარსულს არ ასახავს. გადატრიალებების პოლიტიკას ვაშინგტონი დღესაც იყენებს, თუნდაც პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამის დამადასტურებელია ფერად-ყვავილოვანი რევოლუციები, უკრაინელთათვის თავსმოხვეული რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რომელმაც ვაშინგტონისათვის, სამწუხაროდ, საჭირო ძალთა გადანაწილება ვერ მოიტანა და უკრაინა კიდევ ერთხელ სერიოზული განსაცდელის წინაშე დააყენა. არავინ უწყის, ჯერჯერობით მშვიდობიანად მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირება რამდენ ხანს იქნება მშვიდობიანი. უკრაინული თემა ღრმა ანალიზს მოითხოვს და ამდენად, მასზე სხვა დროს შევჩერდები, ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ ამერიკელთა მოწოდებით არჩევნების წინ უამრავი ქართველი პარლამენტარის უკრაინაში ევაკუაცია ემსახურებოდა ამერიკულ და არა ქართულ საქმეს. და თუ იუშჩენკო-ტიმოშენკოს მსგავსი ქართული „დახმარება“ ხელს აძლევს, სხვა სურათი შეიძლება იყოს ხვალ, მართლაც ხვალ და არა შორეულ მომავალში.

ყოველივე კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, თუ რამდენი დაფიქრებაა საჭირო პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმამდე.

საქართველოსთვის ამერიკის გაფეტიშებას ჯერჯერობით პოზიტიური დიდი არაფერი მოუტანია, გარდა პრიმიტიულად გადმოგდებული გრანტებისა და წვრილ-წვრილი დახმარებისა, რომლებიც ხელისუფალთა ჯიბეებში დაილექა. ამის სანაცვლოდ ამერიკამ შესანიშნავი გეოსტრატეგიული პლაცდარმი შეიქმნა სამხრეთ კავკასიაში.

საქართველოში შექმნილ თითქმის ყველა დარგში ურთულეს პრობლემებში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამერიკელებს ადანაშაულებს. ასეთი განწყობა დღეს არ შექმნილა. მან კარგა ხნის წინათ იჩინა თავი. სწორედ ამან მათქმევინა აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის მოადგილის სტივენ სესტანოვიჩისათვის ჩემი მოსაზრება, რომ ამერიკელთა ქედმაღლურმა, გაუთვლელმა პოლიტიკამ საზოგადოების ის ნაწილიც კი, რომელიც დადებითად იყო განმსჭვალული ოკეანის გადაღმელთა მიმართ, რუსეთისაკენ შეაბრუნა. ეს საუბარი 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ გაიმართა აშშ-ს საელჩოში. მაშინაც და დღესაც მაღალი თანამდებობის ამერიკელი პოლიტიკოსები ხშირად სტუმრობდნენ და სტუმრობენ საქართველოს, ხელისუფლების ჭკუის სასწავლებლად, ამერიკელთა მთავარი მიზანი იყო და არის ხელისუფლებასთან კონსულტაციები და ყასიდად, ჩათვლისათვის ყველა ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენელთა ერთდროული, ერთსაათიანი შეხვედრა. მსგავს ყასიდ შეხვედრაზე, რომელსაც ოპოზიციური პარტიების ლიდერები ესწრებოდნენ, ხაზგასმით განვაცხადე ის ანტიამერიკული განწყობა, რამაც გაკვირვება გამოიწვია არა მარტო სესტანოვიჩში, არამედ დამსწრე ოპოზიციონერებშიც. ამ უკანასკნელმა ჩემი გამოსვლის შემდეგ მობოდიშება და ლაქუცი დაიწყეს სანტანოვიჩის წინაშე. მისასალმებელია, რომ მათი აზრი დღეს ისეთივეა, როგორც მაშინ ჩემს მიერ გამოთქმული მოსაზრება. როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს, თუმცა, ვგონებ, გვიან არის. ჩემი განცხადებით შეფიქრიანებულმა სესტანოვიჩმა, სხვა აზრების მოსმენის შემდეგ, ისევ ჩემთან გასაუბრება გადაწყვიტა, რაც იმ შეხვედრის ფორმატისათვის მიუღებელი იყო. მე კვლავ გავიმეორე ჩემი მოსაზრება.

დღეს უკვე საქართველოს მოსახლეობის მოზრდილი ნაწილისთვის ცნობილია ამერიკელთა მომხმარებლური დამოკიდებულება საქართველოსადმი. ასეთი რომ ყველა პატივმოყვარე ერში უკმაყოფილების გრძნობას უნდა იწვევდეს. საქართველო ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ხვდება, რომ მრავალსაუკუნოვანი კულტურის, ადათწესების, ისტორიის და ყოფის იაფფასიანსალეჭრეზინზეგაცვლა სიკეთეს არ მოუტანს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

№ 200. ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი, 2007 წელი.

# ჟურნალისტური გამოძიება



## ძირი დანახული ჯობს

*2004-2007 წლებში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისთვის საბინაო პირობების გაუმჯობესება თითქმის მიუღწეველ ოცნებად გადაიქცა.*

*ამის დასტურია, კერძოდ ის, რომ თბილისში ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის შესასყიდი ფასი 2500 აშშ დოლარამდე გაიზარდა.*

*სწორედ ამის გამო საცხოვრებელი ბინის, მით უფრო, ახლად აშენებული ბინის ყიდვა ძალუძთ მხოლოდ მდიდრებს, რომელთა უმრავლესობის გამდიდრების წყარო, ყველასთვის ცნობილია, ხელისუფლების მფარველობის ქვეშ მყოფი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაა.*

*ამას ისიც ემატება, რომ საცხოვრებელი ფართის ყიდვა-გაყიდვის ოფიციალურ დოკუმენტაციაში მყიდველი და გამყიდველი ამა თუ იმ ფართის ღირებულებას აფორმებენ ბევრად უფრო ნაკლებ ფასად, რაც შედეგობრივ სახელმწიფო ბიუჯეტისთვის საზარალოა.*

# ბინათმშენებლობის ბაქანალია „ნაციონალურად“

## ხალხისა და ქვეყნის საზიანოდ დაკანონებული ბიზნესი

ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ბინათმშენებლობა მიმდინარეობს არსებული ურბანული დაგეგმარების და არქიტექტურული ნორმების უხეში უგულებელყოფით, რაც სამომავლოდ ქვეყნის მოსახლეობას შეუქმნის არა ერთ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას, დაკავშირებულს, კერძოდ, ახლად აშენებული საცხოვრებელი სახლების უსაფრთხოებასთან და ამ სახლებში მცხოვრები მობინადრეების სიცოცხლესთან. ეს კი პირდაპირ უკავშირდება ეკოლოგიური ხასიათის პრობლემას – ჟანგბადის უკმარისობას, რის გამოსწორებაც შექმნილ მდგომარეობაში შეუძლებელია, თუ არ ჩავთვლით ერთადერთ გამოსავალს – ბოლო 3-4 წლის განმავლობაში აშენებული ზოგიერთი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის სრულ დემონტაჟს. თუმცა ასეთთა რაოდენობა, განსაკუთრებით დედაქალაქში, სამწუხაროდ, არცთუ ისე მცირეა. ყველასთვის ცნობილია, რომ მსგავსი შენობები არც ადგილმდებარეობით, არც არქიტექტონიკით, არც მდგრადობით, არც სიმტკიცით თუ უსაფრთხოებით არ შეესაბამებიან ქვეყანაში არსებულ არქიტექტურულ და სამშენებლო ნორმებს.



ზემოთ აღნიშნული დანაშაულებრივი ხასიათის მოვლენის განვითარებას, რომელიც გავრცელდა საქართველოს მასშტაბით, ხელი აშკარად შეუწყვეს, უწინარესად, ქვეყნის მთავრობამ, პარლამენტმა, თვით პრეზიდენტმა.

და ეს იმიტომ რომ:

**● 2004 წელს ქვეყანაში საყოველთაოდ დეკლარირებული გამჭვირვალობის პრინციპის საწინააღმდეგოდ, მიღებულია და დამტკიცებულია ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიხედვითაც იურიდიული და ფიზიკური პირების ფინანსური საქმიანობის მაჩვენებლები – შემოსავალი, ხარჯი, მოგება და შესაბამისი გადასახადები ყველასთვის და, კერძოდ, მასმედიისთვისაც გასაიდუმლოებული გახდა. ხსენებული მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, აქვთ მხოლოდ სამართალდამცავ ორგანოებს, საგადასახადო ინსპექციას და ფინანსურ პოლიციას;**

**● 2006 წელს ბათილად გამოცხადდა 1999 წელს მიღებული კანონი „მშენებლობის სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზის და დამტკიცების შესახებ“ და მის ნაცვლად ძალაში შევიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმოწერილი დადგენილება.**

**● მოიხსნა პასუხისმგებლობა მშენებარე ობიექტების სიმტკიცეზე, მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;**

**● უგულებელყოფილია ბიუჯეტის მილიონობით ლარით შევსების წყარო და, ამავე დროს, ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის რეგულირების ბერკეტი. ეს იმიტომ, რომ სამშენებლო ობიექტების ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის ჩატარება, ხსენებული დადგენილების მიხედვით, აუცილებელი არ არის.**

**● სრულად უგულებელყოფილია საქართველოს კონსტიტუციის 37.3 და 37.4 მუხლები, რომელთა მოთხოვნის თანახმად, ჩვენი სახელმწიფოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ და ეკოლოგიურად სუფთა გარემოში. ამისთვის სახელმწიფო იყო და არის ვალდებული, უზრუნველყოს თავისი მოქალაქეებისთვის, მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, გარემოს დაცვა და ბუნებით რაციონალური სარგებლობა, ყოველმხრივ გაზარდოს ბიუჯეტი, რის შედეგად განმტკიცდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.**

ზემოთ აღნიშნული იმიტომ მოხდა, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ შეგნებულად უარყო, დაივიწყა, რომ ჩვენი სახელმწიფოს უმაღლესი კანონია ქვეყნის კონსტრუქცია, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ყველა დანარჩენი კანონი ან საკანონმდებლო აქტი, რომელთაც ამტკიცებენ ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, სამინისტროები და ა.შ.

საქართველოს სინამდვილეში კი ხელისუფლების მიერ ქვეყნის კონსტიტუციის და მოქმედი კანონმდებლობის უგულებელყოფა გადაიქცა ყოველდღიურ მოვლენად, რაც მიუღებელია და, რის საწინააღმდეგოდაც, დადგება დრო, ქვეყნის მოსახლეობა მიიღებს ყოველმხრივ კანონიერ გადაწყვეტილებას. ამის შედეგად კი ჩვენს სახელმწიფოში ამჟამინდელი ხელისუფლების ბაქანალიას, რაც შევარდნაძის დროინდელი ბაქანალიის გაგრძელებაა, საბოლოოდ დაესმება წერტილი.

**რას ითხოვდა მშენებლობის სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზის შესახებ ბათილად ცნობილი კანონი?**

**ზემოთ ხსენებული და ამჟამად ძალადაკარგული კანონის მოთხოვნების მიხედვით სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო ექსპერტიზის ჩატარებას ექვემდებარებოდა ყველა ის სამშენებლო ობიექტი, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 500 ათას ლარს აღემატებოდა.**

ხელისუფლება არქიტექტურულ-სამშენებლო ექსპერტიზის მოთხოვნის გამოყენებით, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ილებდა პასუხისმგებლობას ქვეყანაში არსებული არქიტექტურულ-სამშენებლო ნორმების გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა, მშენებარე ობიექტების უსაფრთხოებაზე, სიმტკიცესა და მდგრადობაზე.

ამჟამად არქიტექტურულ-სამშენებლო ექსპერტიზას ექვემდებარებიან მხოლოდ ის მშენებარე ობიექტები, რომელთა მოცულობა აღემატება 20 ათას კუბ. მ. და ამავე დროს ხსენებული ექსპერტიზა მათ უტარდება გარკვეული შეზღუდვებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხსენებულ პროექტებზე ტარდება ექსპერტიზა მხოლოდ გეოლოგიურ და კონსტრუქციულ ნაწილში და ამ პროცედურის განხორციელების უფლება მიენიჭა ნებისმიერ ლიცენზირებულ, ფიზიკური ან იურიდიული პირით წარმოდგენილ სამშენებლო ექსპერტს.

ამ დროს, ბათილად ცნობილი კანონის მიხედვით, სახელმწიფო ექსკლუზიური უფლებით ამა თუ იმ სამშენებლო ობიექტის პროექტს უტარებდა 10-ზე მეტი დასახელების სხვადასხვა სახის ექსპერტიზას, კერძოდ, სახარჯთაღრიცხვო ნაწილში, რის შედეგად სახელმწიფო, ხელისუფლების სახით, იცავდა ქვეყნის ბიუჯეტს და მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს.

სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო ექსპერტიზის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სამშენებლო მასალების ხარისხის საკითხს, კონსტრუქციების შესაბამისობას, იმას, თუ როგორ უნდა ყოფილიყო დაცული სახლებში ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები, როგორი ინსოლაცია ჰქონოდა ბინებს, როგორი იყო მათი კომფორტი, საცხოვრებელ უბანში მოსახლეობის სიმჭიდროვე, ინფრასტრუქტურა და ა.შ.

იხ. 12 გვ.

## ◉ ინფორმაცია

### საქართველო ლათინური ნოტარიატის წევრი გახდა

**საქართველომ ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირში გაწევრიანებაზე ორგანიზაციის 25-ე კონფერენციაზე თანხმობა მიიღო.**

**როგორც იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან, კონფერენცია ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში 3-6 ოქტომბერს გაიმართა. საქართველო არის 76-ე ქვეყანა, რომელმაც დააკმაყოფილა კავშირის სტანდარტები და ამ პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობის უფლება მოიპოვა.**

**მათივე ინფორმაციით, ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირში გაწევრიანების კანდიდატად საქართველო 1996 წელს დასახელდა, თუმცა ამ საკითხზე კონსულტაციები მიხეილ სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობის პერიოდში გააქტიურდა. საერთაშორისო ორგანიზაციასთან ინტეგრაციის მიზნით, გადაიდგა არაერთი მნიშვნელოვან ნაბიჯი: ინტენსიურად იმართებოდა შეხვედრები კავშირის მუდმივმოქმედი კომისიის წარმომადგენლებთან; დამტკიცდა დებულება „ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე“ და სხვა.**

### თურქეთმა ბაღაფშს კარი მიუხურა

**აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის ვიზიტი თურქეთში მასპინძლის უარის გამო გადაიდო. ამის შესახებ თურქული საინფორმაციო სააგენტო „კავკაზი“ იუწყება.**

**სააგენტოს ინფორმაციით, თურქულმა მხარემ ბაღაფშის მიღებაზე უარი საქართველოს ხელისუფლების უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით თქვა.**

**დე ფაქტო პრეზიდენტი თურქეთში გუშინ უნდა ჩასულიყო, უარის შესახებ კი ერთი დღით ადრე შეიტყო.**

**„სერგეი ბაღაფში თურქეთში ჩასვლას ქართული ლობისა და დიპლომატიის გააქტიურების მიუხედავად გეგმავდა. ამ ვიზიტზე აფხაზური მხარე დიდ იმედს ამყარებდა, რადგან თურქეთში მრავალათასიანი აფხაზური დიასპორა ცხოვრობს“, – იუწყება სააგენტო.**

**აფხაზური დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც თურქეთში უნდა ჩასულიყო, დე ფაქტო პარლამენტის ვიცე-სპიკერები ვიაჩესლავ ცუგბა და ირინა აგრბა, ე.წ ეკონომიკის მინისტრი კრისტინა ოზგანი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაქსიმ გუნჯია შედიოდნენ.**

**ინტერპრესნიუსი**

# წუთისოფელი

**მთავრობა ძალიან უსინდისოდ იქცევა. სრული დუმილი მწერლობაზე, ან ისეთი მწერლების გამოჩენის ტენდენცია, გეგონება მწერლობის თვითმკვლელობას ამზადებენ. ყოველივე ამით ხელისუფალი ამბობს, კალმის ხალხი ჩვენთვის აღარ არსებობთო**



## გულწრფელი წიგნი

ფრიდონ ხალვაში

# იმედი

დოკუმენტური მოთხრობა



შალვა დადიანი, მეგრული წარმომავლობის მწერალთა შორის, მგონი, ერთადერთი იყო, ლაპარაკისას მეგრული კილო რომ არ გამოერეოდა (სხვათა შორის, მეგრული მოქცევა (კილოძ თითქმის ყოველი ფრაზის წარმოთქმისას აშკარად ემჩნეოდა ქართული სიტყვის ისეთ დიდოსტატს, როგორიც კონსტანტინე გამსახურდია იყო. მეგრულად ჩარბილ-ჩაბულბულებას ლაპარაკში აშკარად შეატყობდი აგრეთვე, სიმონ ჩიქოვანს, ვიქტორ გაბესკერიას, ალეკო შენგელიას, ალიო მირცხულავას, ხუტა ბერულავას. უცნაური იყო ის, რომ დემნა შენგელაიას, რომელსაც სამეგრელოში თითქმის არ უცხოვრია, ლაპარაკში იქაურულ სილბილეს მაინც შეატყობდიძ ხოლო აკაკი ხორავას მეტყველებას, მე მგონი, მეგრული არასოდეს დატყობია. მისი ხმა, დიქცია, სიტყვის გამოკვეთილობა და ჟღერა, ისე, როგორც შალვა დადიანისა, უფრო თბილისურ-ქართლურ-აღმოსავლურად მოდულებულ-ჩამოსხმული იყო.

პირველი დღე შალვა დადიანმა ბათუმის თეატრში გაატარა. მაშინ საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას თავმჯდომარეობდა.

რადგან მეორე დღეს მთის რაიონში, ოლქკომის მითითებით მე უნდა გავყოლოდი, თეატრში გამართულ სხდომაზეც დამისწრეს. ბატონი შალვა, განსაკუთრებული სიფაქიზით და პატივით იუსუფ კობალაძეს და მურად ხინიკაძეს ეპყრობოდა. მგონი არჩევნები ჩაატარეს და, როგორც მახსოვს, საზოგადოების აჭარის განყოფილების ხელმძღვანელად მურადი აირჩიეს.

გულახდილად ვიტყვი, — იმხანად შალვა დადიანისეულს უფრო მემუარებს ვკითხულობდი. პიესის კითხვაში, გარდა შექსპირის პოეტურ-დრამატურგიული ტექსტების მაჩაბლისეული თარგმანებისა, გემოს ვერ ვატანდი.

მანქანა „ვილისი“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ათხოვებინეს. მე ამიხსნეს, — ჭვანაში იციან, შეხვედრას მოაწყობენ, შენ წარადგინე სტუმარიო და, თუ მოისურვებს, ღამის გასათევიც ორგანიზებული იქნებაო. ცნობილ თბილისელ მწერალთა უმრავლესობასთან თითქმის გაშინაურებული, მე შალვა დადიანთან ვერ ვიყავი რატომღაც ახლო. იგი, უფრო თეატრალური მოღვაწე, მწერალთა კავშირში მხოლოდ რაიმე საგანგებო შეკრებაზე თუ გამოჩნდებოდა.

ჭვანის სოფლსაბჭოს ხის ოდა-შენობაში ღუმელი გაეჩაღებინათ და ხალხიც შეკრებილიყო. ბატონმა შალვამ, როგორც კი ცოტა მოთბა, მანიშნა დავიწყოთო. ავდექი და იქ მყოფთ გავაცანი სტუმარი.

სტუმარმა გატაცებით ილაპარაკა წარსულზე. გაიხსენა ბათუმში თავისი პირველი ჩამოსვლა, ახსენა მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, გულო კაიკაციშვილი. იგრძნობოდა აქაურობის მგზნებარე სიყვარული. შიგა და შიგ, რამდენიმე ლექსიც ნარნარა ხმით ჩაიკითხა. ვფიქრობ, ეს ლექსები, თვით შალვა დადიანისა იყო. შემდეგ, იქვე, მახლობელ ოდაში, ბუხართან გაშლილ სუფრაზე მიგვიწვიეს. ჭვანური ცოლიკაური ესიამოვნა. ცოტას მოსვამდა ჭიქიდან, დადგამდა, მალე ისევ აიღებდა, ისევ მოსვამდა.

ამ დროს შევნიშნე, ვეზირამ, ჩვენს გვერდით მჯდომმა ჭვანელმა, უბიდან დაჯღურკული ჭიბონის გუდა ამოაძრო, სული ჩაბერა და კაი ჭვანური განდაგანა ჩაგრიხა. ისე მომხიბვლელად უკრავდა ქოჩახელურს, თავად შალვამაც საცეკვაოდ მხრები შეაქანა. გაილო კარი ღრაჭუნით და, ასე 9-10 წლის ბიჭი შემოსრიალდა. იმ ორნაბიჯიან კვადრატში ბიჭმა ფეხებით ცეცხლი დაანთო. ბატონი შალვა აღტაცებული ადგილიდან წამოიწია, ხელი გაიშვირა, — მომიყვანეთ ახლოს ეს ვაჟკაციო. ბიჭს შალვა დადიანმა შუბლზე აკოცა. ამ დროს დიდი კეცი ჭადი შემოიტანეს. იკითხა, რატომ ამოდენას აცხობენო. ერთმა ჭვანელმა აუხსნა: შინ ბევრი ვართ, პაწია ჭადი ვის ეყოფა, თანაც დიდი დიდხანს არ ცივდებაო. ბოლოს გოგონამ ლანგრით აგოზილი ხავიწი შემოიტანა. ბატონ შალვას ღომი ეგონა და ერთი ნაფლეთი რაღაც წვნიანში ამოუსვა. მაგრამ თავადვე მაშინვე მიხვდა, რომ ეს ცალკე კერძი იყო.

**12.01.06**

ტელევიზორში ყაზახი ნურსულთან ნაზარბაევის ახლად გაპრეზიდენტების ცერემონია ვნახე.

ყაზახეთი ესენგელთა შორის ეკონომიკურად ყველაზე გამორჩეულიჩანს. ნურსულთანმა თქვა: მალე ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს 50 ეკონომიკურად უძლიერეს სახელმწიფოთა შორის იქნებაო. გულში ვთქვი, იქნებ ჩვენს მიშასაც შეშურდეს და, ეგება, მალე, ეს ხმა ტკბილი გაგვაგონოს ჩვენს მამულშიც.

**17.01.06**

ვისმენ „იმედის“ დილის ინფორმაციას. ისე საშინელი სისწრაფით ლაპარაკობს წამყვანი, მეც კი მიჭირს გავიგო. რაღა დაემართება თურქეთელ ქართველს. ისინი სულ ერთ რამეს გვთხოვენ, — ცოტა ნელა გამოთქვან სიტყვა, ჩვენც გვინდა მოვუსმინოთ ქართულ ამბებს ქართულადო (გადაღმელი ჩვენებურებისთვის, — მე თუ მკითხავენ, — ტექსტები აჭარულ-იმერხეულ დიალექტზე ჯობიაძ.

ყრილობა ქართველ მწერალთა მთავრობის სასახლეში. 1961 წელს, მგონი გაზაფხულს. სხდომიდან შესვენებაზე დერეფნებში გამოვეფინეთ. იქ კედლები, მაგიდები, სავსეა წიგნებით. გოგლა მომეხვია. მოდი, წიგნი უნდა გაჩუქოო. გამონათდა მაშინვე ყაყაჩოსავით ყირმიზკაბიანი გოგონა. მოაფართქალდა გოგლას. მოეხვია. აკოცა, გაიხარა გოგლამ, განაზდა. ღიმილად და მოღუღუნე ხმად დაიღვარა. ქალის მოფერება და, უბრალოდ, ყურადღება უყვარდა. თავს იწონებდა ამით. ვერ ვიტყვი, პოეტი მოწონდათ მასში უფრო თუ მამაკაცი. მე თუ მკითხავთ, მის ყოველ სტრიქონში ძლიერი მამაკაცი ჩანდა, ხოლო მის კაცობაში — ძლიერი პოეტი (ერთხელ, მგონი მანქანით სვლისას, ჩაიბუბუნა — რა ყოფილა ლიკანიო, გადამაძრო ყ-კანიო. ერთხელაც, მახსოვს, გამიმხილა, რა სიგრძე-სიმსხო იარაღს ფლობდა, — შარვალს მუხლამდე ხელი ჩაუსვაძ.

გამოატანინა თავისი ახალგამოცემული, ფართოფორმატიანი, ერთტომეული, ყდა გახსნა და ტიტულზე, დახრილმა, მიაწერა, — ამას და ამას... ჩემს ნათლიმამას, პოეზიის ჩემპიონს... გ.ლეონიძე“ (მისი ნათლულის ზაზას მამა ხომ მე ვარ?!ძ.

ეს ნამეტანია — „პოეზიის ჩემპიონსო“, მაგრამ იმხანობას, ალბათ, რაღაც იყო ისეთი, რაღაც ახსოვდა ისეთი, რის გამოც ასეთი წოდებით დამასაჩუქრა. იქნებ, მარჯანიშვილის თეატრში, მისი თავკაცობით მიმდინარე საღამოზე, ჩემი თბილისზე წაკითხული ლექსი გაიხსენა?

როცა ზარები დაირეკა და სხდომაზე შევდიოდით, კარებთან რეზო მარგიანი მომიახლოვდა. იღლიაში ამოხუტებულ ნაჩუქარ წიგნისკენ გამოიხედა, კეთილკაცურად იკითხა, აბა რა ჩაგიწერა გოგლამო. მაგრამ იმ წარწერის ჩვენებისგან თავი შევიკავე.

აჭარაზე, შავშეთზე როცა სიტყვა მოუნდებოდა, გიორგი ლეონიძე იმ სიტყვას, უცნაური სევდით, ტკივილით, სიამაყითაც წარმოთქვამდა.

ერთხელ მარადიდ-კირნათში წავედით. მაშინ მე, როგორც ასსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს, დახურულ სასაზღვრო ზონებში შესვლაზე უარს არ მეუბნებოდნენ.

კირნათში, ჭოროხის ნაპირით, რუსმა ოფიცერმა, ზედ საზღვრის ღობემდე მიგვაახლოვა. იქვე, გაღმა ნაპირზე, იმათი მარადიდის სახლები ჩანდა. წვიმდა. ერთი სახლის სახურავზე ორი კაცი ყავარს აჭედებდა თუ ქვებს ყავარზე აწყობდა (კი, კი, — იყო ჩვენში, — ყავრის დასამაგრებლად ქვებს აწყობდნენ სახურავზე. არა მარტო ლურსმნის სიძვირის გამო, არამედ, ალბათ, ყავრის უფრო სისაღლამისათვისძ. იქით, ნაყანევში, ბავშვები უზელო ცხენს აჭენებდნენ. — ჭოვ, გამოდენე აქეთ, გამოდენე! — ეძახოდნენ ერთიმეორეს. თურქეთის სოფლიდან ქართულის გაგონებაზე გოგლას თვალები შეუწყლიანდა. ჭოროხისკენ გადახრილ ხეზე მიყრდნობილი, უხმოდ, ნაღვლიანად, გაჰყურებდა გაღმეთს. თავის ფიქრში იყო. იქვე ვიდექი მეც. ჩუმად ვიდექი. დარდიც უნდა შეარგო კაცს.

იმ დროს ჩვენი მხარის ერთი სახლიდან რადიოს ხმა გამოიჭრა. ეროსი მანჯგალაძის ხმის ბობოქრობა მეცნო. თბილისელები მოსკოველებს ფეხბურთს ეთამაშებოდნენ.

გოგლაც, ჩემთან ერთად, ამ რეპორტაჟით უფრო მიტომ დაინტერესდა, შევატყვე, უნდოდა გაეგო, ესმოდათ ჭოროხგაღმელ ჩვენებურებს თბილისური ხმა თუ არა. ჰოდა, როცა ეროსიმ მესხის მარცხენა ფლანგიდან გაჭრა ცეცხლოვანი ფორიაქით გადმოაფრქვია, ცხენის მაჭენებელი გაღმელი ბავშვები შედგნენ, ერთმანეთს მიუახლოვდნენ, გაინაბენ და, როცა რადიოში გაისმა, — მესხმა ჩააწოდა. ღოღობერიძემ მიიღო... დარტყმა!.. არის, არისო!.. იქ, გაღმა, ბავშვები ერთმანეთს გადაეხვივნენ. გოგლა მომიბრუნდა. აცრემლებულმა ხელით მიმიხუტა და თავისთვის ჩაიჩურჩულა, — ეს რა მიყავი, ბიჭოო...

ის დღე პატარა მოთხრობაში „წვიმა ორ ნაპირზე“ აღვწერე. მოთხრობაში, რა თქმა უნდა, ლეონიძე არ ჩანს. თანაც ამბავი სხვანაირადაა მობრუნებული. ყველაფრის ზუსტად აღწერა, მაშინ არ გამოდგებოდა. იმ მოთხრობაზე, კაი ხნის მერე, სერგო კლდიაშვილმა წერილი დაბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“.

აქ, მე უფრო იმის თქმა მინდოდა, რომ გიორგი ლეონიძეს უფრო იმიტომაც ვეახლოვებოდი, რომ მე აქაურობის შვილი ვიყავი. მასაც თავისად მიაჩნდა ეს მხარე, უყვარდა ეს ჩვენი ათასჭირგამოვლილი მიწა. განსაკუთრებით სწორედ ის გაღმეთი, ტაო-კლარჯეთი (თავადაც, ძველი იმერხეველი ვარო, უთქვამს. მისმა შვილიშვილმა, გიორგი ქავთარაძემ, მგონი 2000 წელს, მოიარა იქაურობა და იქ ლეონიძეთა სოფელიც აღმოაჩინაძ, შავშეთი, დაკარგული ძველი მამული ეწვოდა და ტკიოდა. „ისე დავბერდი, ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდიო“ — წერდა.

კირნათ-მარადიდან რომ წამოვედით, გზაზე, ბატონ გიორგის ვეღარ ვცნობდი. სულმთლად შეიცვალა. თითქოს მოიწყინა. მერე, უცებ გული მოუბრუნდა, გამოიკაფა, გამოიდარა. მომიბრუნდა: — შენ იცნობ აქაურ, ჯოჭოელ ლეონიძეებს? იქნებ შემახვედროო. — კი, ვიცნობ, — ვუთხარი, — ერთი ქალი, ლეილა ლეონიძე, თავმჯდომარეა კოლმეურნეობისა.

**21.01.06**

წუხელ გრიგოლიას „იმედი“ მწერალთა სასახლის ბედისწერას მიაძღვნა. ვიფიქრე, იქ რომ ვიყო, ვიტყვი: კავშირობია და თავმჯდომარ-მდივნობია მოკვდა, მოვითხოვოთ იყოს ე.წ. ლიტსახლი (ლიტერატურული სახლიძ. ჰყავდეს (მორიგეობითძ ლიტსახლს გამგე, ბიბლიოთეკარი (ერქვას თუნდაც — მწერალთა სახლიძ. ახლადაწერილი წიგნების კითხვა-განხილვა ან ცნობილ-აღიარებულის წიგნებზე მსჯელობა. პრეზენტაციები. ჟანრების მიხედვით ახალდამწყებებთან კონსულტაციები. ერთი სიტყვით, ქართულ მწერლობას, თბილისში, ტრადიციული სახლი ეკუთვნის. მუშაობის წესს და რიგს თავადვე შეიმუშავებენ.

მთავრობა ძალიან უსინდისოდ იქცევა. სრული დუმილი მწერლობაზე, ან ისეთი მწერლების გამოჩენის ტენდენცია, გეგონება მწერლობის თვითმკვლელობას ამზადებენ. ყოველივე ამით ხელისუფალი ამბობს, კალმის ხალხი ჩვენთვის აღარ არსებობთო. სამინისტრო აფინანსებს იმ ახალ ჟურნალებს, რაც მისთვის მისაღებ მოკალმეთა ხელშია (მგონი ახლა ის მწირი დაფინანსებაც შეწყდაძ. ოტია იყო სტუდიაში. რა თქვა, ვერ გავიგე. ყანაში ვარ, კავშირისთვის არ მცალიაო და სხვა.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 183-199.**

№ 200. ხუთშაბათი. 18 ოქტომბერი. 2007 წელი.

# უცხოური პრესა

● არ არის გამორიცხული, რომ კონსტიტუციური რეფორმის განხორციელება სააკაშვილმა გადაწყვიტა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის გამოსვლის შემდეგ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მე იგივე ვარ მარად და მარად...



## სააკაშვილს პრეზიდენტობა გაუტკბა

**მიხეილ სააკაშვილი გამოთქვამს წინადადებას, რომ ქვეყნის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა ოთხი წლიდან ხუთ წლამდე გაიზარდოს. გარდა ამისა, იგი დათანხმდა პარლამენტში შესასვლელი ბარიერის 7 პროცენტიდან 5 პროცენტამდე შემცირებას. პრეზიდენტს ასევე არ ეშინია იმის, რომ დეპუტატებს მიეცეთ მეტი უფლებამოსილება. ასეთი ნაბიჯების გადადგმა სააკაშვილს აიძულა იმან, რომ იგი ბევრს ფიქრობს კონსტრუქციული ოპოზიციის ჩამოყალიბებაზე. ქვეყნის პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ გამოჩნდებიან ახალი პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც შეიგნებენ, რომ სახელმწიფო გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირადი შეურაცხყოფა და გამოგონილი პოლიტიკური სიცრუე.**

სამშაბათს საქართველოს პრეზიდენტმა სამუშაო რეზიდენციაში შეკრიბა საპარლამენტო უმრავლესობა და მათთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

შეხვედრის დიდი ნაწილი პრეზიდენმა დაუთმო ოპოზიციას, რომელიც, მისი აზრით, არაკონსტრუქციულია. სიტუაციის შეცვლის მიზნით სააკაშვილმა რამდენიმე თამამი წინადადება გამოთქვა. აშკარაა, რომ ამ თემაზე ლაპარაკი სააკაშვილმა გადაწყვიტა ყოფილ თავდაცვის მინისტრთან ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებული ამბის შემდეგ. როგორც ცნობილია, ექს-მინისტრმა შემოდგომის დამდეგს პრეზიდენტი დაადანაშაულა მრავალი პუნქტის მიხედვით და ამის წყალობით ოქრუაშვილი გახდა ქვეყანაში ნომერ პირველი ოპოზიციონერი.

მაგრამ, მას შემდეგ, რაც ოქრუაშვილი დააპატიმრეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მან გარკვეული დრო დაჰყო საპყრობილეში, ამ ადამიანმა უარყო სააკაშვილის მისამართით გამოთქმული ყველა ბრალდება და გაურკვეველი დროით აიღო ხელი პოლიტიკურ ბრძოლაზე.

პარლამენტარებთან საუბრის დროს, სააკაშვილმა გამოთქვა წინადადება, რომ მისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა ოთხიდან ხუთ წლამდე გაიზარდოს. თუმცა, არც დეპუტატები დავიწყებია და აღნიშნა, რომ მისი აზრით, პროპორციული სისტემით პარლამენტში მოსახვედრი ბარიერი 7 პროცენტიდან 5 პროცენტამდე უნდა შემცირდეს.

„გთავაზობთ, პარლამენტში მოსახვედრი ბარიერი 5 პროცენტამდე შევამციროთ და არჩევის შემდეგ პარლამენტის უფლებამოსილების ვადა 5 წლამდე გავახანგრძლივოთ“, — განაცხადა ბატონმა სააკაშვილმა.

მაგრამ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ წინადადებები ამით არ ამოწურულა. სააკაშვილი არ ეწინააღმდეგება იმას, რომ შეზღუდოს თავისი უფლებამოსილება პარლამენტის დათხოვნის საკითხში. მისი განმარტებით, ასეთ ნაბიჯს გადადგამს არა იმისთვის, რომ კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფებს ჰქონდეთ შეღავათები, არამედ მხოლოდ იმ მიზნით, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდნენ ახალი ძალები, „რომლებიც შეძლებენ ხუთპროცენტიანი ბარიერის დაძლევას და გახდებიან ჩვენი ღირსეული პარტნიორები პოლიტიკური კულტურის სწორი გეზის არჩევაში“.

„იმედი მაქვს, რომ გამოჩნდებიან ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებიც შეიგნებენ, რომ ქვეყანა და სახელმწიფო გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირადი შეურაცხყოფა და პოლიტიკური სიცრუე“, — თქვა შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა. იმ მიზნით, რომ დამსწრეთათვის უფრო მკაფიოდ გადაეცა თავისი აზრები, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ დემოკრატიული ინიციატივის მიზანია ის, რომ საქართველოში ყველაზე პატარა ჯგუფსაც კი, პოლიტიკის სწორად გაძღოლის პირობებში, ჰქონდეს დიდი წინსვლის განუყოფელი ნაწილად გახდომის შანსი.

ჩემი აზრით, ასეთი შანსი გვაქვს, საქართველოში მრავლად არიან ინტელექტუალური ადამიანები. თუმცა, მმართველმა პარტიამ უნდა გაიმარჯვოს მომავალი წლისთვის დანიშნულ არჩევნებში, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ცუდი იქნება ქვეყნისთვის, მიაჩნია სახელმწიფოს მეთაურს.

არ არის გამორიცხული, რომ კონსტიტუციური რეფორმის განხორციელება სააკაშვილმა გადაწყვიტა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის გამოსვლის შემდეგ. ოქტომბრის დამდეგს, საკვირაო ქადაგების დროს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა განაცხადა, რომ მხოლოდ მეფე არის ქვეყნის მთლიანობისა და ყოველი მოქალაქის დაცვის გარანტი. „ზოგი გამოთქვამს აზრს, რომ ქვეყანაში უნდა დამყარდეს კონსტიტუციური მონარქია. მე გეტყვით, თუ რას ნიშნავს ეს: მეფე მეფობს, მაგრამ ქვეყანას არ მართავს. მეფე არის ქვეყნის მთლიანობისა და ყოველი ადამიანის დაცვის გარანტი“, — თქვა ილია მეორემ.

ამ ბოლო ხანებში განვითარებული მოვლენების ფონზე პრეზიდენტმა ასევე საჭიროდ ცნო დაეხასიათებინა ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლება. სააკაშვილის თქმით, იგი პრინციპულია და არ თანხმდება კომპრომისებს. ამის დასტურად მან გაიხსენა, რომ კორუფციის ბრალდებით დააკავეს მმართველი პარტიის წარმომადგენლები, მერები და ყოფილი მინისტრები. ყოველივე ეს ადასტურებს პარტიის ეფექტიანობას.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა დეპუტატებს დაავალა, რომ საგანგებო რეჟიმით განიხილონ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები. ბიუჯეტს გაზრდიან 350 მილიონი ლარით, რომლიდანაც 100 მილიონი მოხმარდება მოსახლეობის დახმარებას, დანარჩენი კი — თავდაცვას.

**ანდრეი რეზჩიკოვი**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

№ 200. ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი, 2007 წელი.

## ქართულ-აფხაზური კონფლიქტი რეზოლუციით შეარბილეს

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ორშაბათს მიიღო რეზოლუცია აფხაზეთში არსებული სიტუაციის შესახებ, რომელმაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტში ჩაბმული ერთბაშად ყველა მხარის დადებითი ემოციები გამოიწვია. მოსკოვში სიხარულს ვერ მალავდნენ იმის გამო, რომ გაერომ შეაქო რუს მშვიდობისმყოფელთა საქმიანობა, თბილისი აღფრთოვანებული იყო დოკუმენტში იმ პუნქტის შეტანით, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, იმას რომ აფხაზეთში უნდა დაბრუნდნენ ლტოლვილები, სოხუმმა კი კმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ რეზოლუციაში აღნიშნულია „დაძაბულობის ესკალაციის დაუშვებლობა“. თუმცა, ასეთი საყოველთაო სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა: მეორე დღესვე ყველა მხარემ არაორაზროვნად მიანიშნა, რომ ამ დოკუმენტის გამოყენებას აპირებს მხოლოდ თავის სასარგებლოდ.**



დოკუმენტი, რომლის ავტორები იყვნენ საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, სლოვაკეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ, ერთხმად მიიღეს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე და ამ რეზოლუციის თანახმად, 2008 წლის აპრილამდე გახანგრძლივდა აფხაზეთში გაეროს მისიის ყოფნის ვადა. პრინციპში, ეს სიურპრიზი არც ყოფილა: არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ აფხაზეთის შესახებ რეზოლუციას რაიმე განსაკუთრებულით პრობლემების გარეშე მიიღებდნენ. საკვირველი იყო სხვა რამ — რუსეთის, საქართველოს და აფხაზეთის რეაქცია დოკუმენტზე, რომელთა შეხედულებები, როგორც წესი, ძალზე განსხვავდება ხოლმე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილი სიტუაციის შეფასების დროს.

რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში ვიტალი ჩურკინი ყველაზე მეტად გაახარა იმ ფაქტმა, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ საქართველოს და აფხაზეთს მოსთხოვა უზრუნველყონ კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების თავისუფალი გადაადგილება და, ამით უყურადღებოდ დატოვა თბილისის არაერთი მოთხოვნა იქიდან რუსეთის ფედერაციის ცისფერჩაფხუტიანთა გაყვანის შესახებ.

„სამწუხაროდ, საქართველო ცდილობს დაბლოკოს მოლაპარაკების პროცესი, შემდეგ კი აცხადებს, რომ იგი არ არის ეფექტიანი. გაეროსთვის გაუგებარია საქმისადმი ასეთი მიდგომა“, — თქვა ვიტალი ჩურკინმა და ხაზი გაუსვა იმ როლს, რომელსაც რუსი სამშვიდობოები ასრულებენ ვითარების დესტაბილიზაციის საქმეში. ამ რეზოლუციით, უშიშროების საბჭომ დაუჭირა მხარი რუსეთს, დარწმუნებულია ჩურკინი.

დოკუმენტი შეაქო თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ: „რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ მხარეებმა უნდა დაიცვან ძალთა დაშორიშორების შესახებ მოსკოვში 1994 წელს მიღწეული შეთანხმება. იგი ასევე მხარეებს აფრთხილებს, რომ შეიკავონ თავი კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის ესკალაციისგან, რაც არაერთგზის მოუთხოვია აფხაზურ მხარეს“.

ამავე დროს, საქართველოში კი საქმე ისე წარმოაჩინეს, თითქოს თბილისი არ დარჩენილა იმედგაცრუებული იმის გამო, რომ გაერომ უგულებელყო მისი არაერთი მოთხოვნა რუს სამშვიდობოებთან დაკავშირებით. განაცხადა რა, რომ საქართველო არ მიიჩნევს კონსტრუქციულად რუსი სამხედროების საქმიანობას, ბატონ ჩურკინის ქართველმა კოლეგამ ირაკლი ალასანიამ ძირითადი ყურადღება გაამახვილა რეზოლუციის იმ პუნქტზე, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ქართველ ლტოლვილებს აქვთ აფხაზეთში დაბრუნების უფლება, აგრეთვე იმ დებულებაზე, რომლებიც ადასტურებენ მისი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

აფხაზეთში ლტოლვილებისა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებისა და მათი ქონებრივი უფლებების შესახებ პუნქტი თბილისში ნამდვილ გამარჯვებად აღიქვეს, რაც დაუყოვნებლივ განაცხადა კიდეც საჯაროდ ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

„ახლა ლტოლვილთა ქონებრივი უფლებები დაცულია გაეროს რეზოლუციით.., — თქვა ბატონმა სააკაშვილმა. — ამიერიდან ლტოლვილთა ქონების შესყიდვა იქნება არა მარტო საქართველოს კანონების, არამედ გაეროს რეზოლუციის დარღვევაც, რომელიც საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია“.

აფხაზეთში ლტოლვილების უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პუნქტის განმარტებისას, სააკაშვილმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ იგი ამას არ დასჯერდება. საქართველოს პრეზიდენტის თქმით, გაეროს მხრიდან ამ მიმართულებით გადადგმული შემდეგი ნაბიჯი უნდა გახდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტის აღიარება.

საქართველოს ხელისუფლების მიერ გაკეთებულმა ასეთმა კომენტარმა მოსკოვში აღშფოთება გამოიწვია. ვიტალი ჩურკინმა ქართველ დიპლომატებს ურჩია უფრო გულდასმით გაეცნონ დოკუმენტს: თუ რეზოლუციის მიღებისთანავე კეთდება ასეთი განცხადებები, ეს მხოლოდ მოწმობს იმას, რომ ქართულ მხარეს ბოლომდე არ აქვს შეგნებული, თუ რას ნიშნავს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია.

ამ განცხადებას თბილისში რეაგირება არ მოჰყოლია. ახლა იქსულ სხვა პრობლემის გადაჭრით არიან დასაქმებული — როგორ მიაღწიონ აფხაზეთიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანას. რუსთავი“-2 ტელეკომპანიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთის პროკურატურის თანამშრომლებმა ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით დააკავეს აფხაზეთში სამშვიდობო კონტინგენტის სარდლის მოადგილე. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში დავით ბაქრაძემ განაცხადა: „ეს დადასტურებული ფაქტია და საქართველო აპირებს ამის თაობაზე მოთხოვოს შეფასება როგორც რუსეთს, ისე საერთაშორისო გაერთიანებას, რადგან რუსი სამშვიდობოები აფხაზეთში ეწევიან ნარკოტიკებით ვაჭრობას და ეგრეთ წოდებულ „ფულის გათეთრებას“.

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში უარყვეს ინფორმაცია ამ ქვეყნის სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა შორის ნარკოტიკებით ვაჭრობის შესახებ. ამ უწყების საიტზე გამოჩნდა განცხადება, რომ „საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობა შეფასებულია როგორც საზოგადოებრიობის თვალში რუსი სამშვიდობოების დისკრედიტაციისა და მათი ზნეობრივი სახის შელახვის მცდელობა“.

**ვლადიმერ ნოვიკოვი**

Коммерсантъ

# დედამიწის ზურგზე

• დანაშაულებრივი დაჯგუფების მონაწილეთა დაპატიმრება გახდა ორწლიანი გულმოდგინე მუშაობის შედეგი, რომლის დროსაც ფედერალურმა აგენტებმა იპოვეს 46 კილოგრამ კოკაინი

## ტიბეტის სულიერი ლიდერი ვაშინგტონს ეწვია



**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში თეთრ სახლში შეხვდა ტიბეტელ ბუდისტთა სულიერ ლიდერს დალაი-ლამას ტენძინ გიატცოს, რომელსაც გადაეცემა შეერთებული შტატების უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო – კონგრესის ოქროს მედალი.**

ინფორმაციამ შეხვედრისა და ჯილდოს გადაცემის შესახებ უაღრესად ნეგატიური რეაქცია გამოიწვია ჩინეთში. პეკინის აზრით, ამან, შესაძლოა, სერიოზულად გააუარესოს ჩინეთ-ამერიკის შემდგომი ურთიერთობა.

დალაი-ლამა მსოფლიოში ცნობილია, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მოღვაწე, იგი იბრძვის იმისთვის, რომ ტიბეტი გამოაცხადონ ზონად, რომელშიც არ იქნება არანაირი ძალადობა, და თანდათანობით მოხდება ამ რეგიონის დემილიტარიზაცია. 1949 წლის შემდეგ იგი გამუდმებით მიმართავს გაეროს ჩინეთის მიერ ტიბეტის ოკუპაციის საკითხთან დაკავშირებით.

საუბრის დროს დალაი-ლამამ ბუშს გააცნო ტიბეტში არსებული სიტუაცია და მადლობა გადაუხადა შეერთებული შტატების ადმინისტრაციას იმის გამო, რომ იგი გამოთქვამს შეშფოთებას ტიბეტში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. „ჩვენ კარგა ხანია ვიცნობთ ერთმანეთს და საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს“, – თქვა დალაი-ლამამ და აღნიშნა, რომ მისი სურვილია პეკინმა მიანიჭოს ტიბეტს „რეალური ავტონომია“ და არა დამოუკიდებლობა.

ტიბეტელ ბუდისტთა მეთაურმა გამოუცხადა სოლიდარობა მიანმაში ბუდისტ ბერებს და მადლობა გადაუხადა შეერთებული შტატების პირველ ლედის ლორა ბუშს იმის გამო, რომ ამ ქალბატონმა საჯაროდ დაგმო მიანმის სამხედრო ხელისუფლების მოქმედება ადგილობრივი ბერების წინააღმდეგ.

თეთრი სახლის პრესმდივანმა დანა პერინომ განაცხადა, რომ ბუშმა გადაწყვიტა მიიღოს მონაწილეობა შეერთებული შტატების კონგრესის ოქროს მედლით დალაი-ლამას დაჯილდოების ცერემონიაში და თავისი გადაწყვეტილების შესახებ ოფიციალურად შეატყობინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ჰუ ძინტაოს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ლიუ ძიანჩაომ კი აღნიშნა: „რადგან დალაი-ლამა უკვე კარგა ხანია ეწევა გამთიშველ საქმიანობას, ტიბეტი კი ჩინეთის განუყოფელი ნაწილია, სხვა ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეთა შეხვედრები დალაი-ლამასთან არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა, საერთაშორისო ურთიერთობის ნორმების დარღვევა და ჩინელი ხალხის გრძნობების შეურაცხყოფა“.

ლიუ ძიანჩაომ გაიხსენა, რომ ჩინეთის მხარეს არაერთგზის გაუფრთხილებია შეერთებული შტატები შეეკავებინა თავი ასეთი მოქმედებისგან და მოითხოვა, რომ ვაშინგტონმა „შეცვალოს თავისი მცდარი პოზიცია“.

შეგახსენებთ, რომ სექტემბრის დამლევს გერმანიის ფედერალურმა კანცლერმა ანგელა მერკელმა ასევე გამართა არაოფიციალური შეხვედრა ტიბეტის სულიერ ლიდერთან. იმ დღეებში ეს თემა გახდა უმთავრესი გერმანული პრესისთვის.

## შეტაკება სომალიში

**სომალის დედაქალაქის ჰაულვადაგის უბანში მოხდა გააფთრებული შეტაკება ამბოხებულებსა და სამთავრობო ჯარებს შორის, რომლის დროსაც არტილერიაც გამოიყენეს. ასეთი ინფორმაცია გაავრცელა ადგილობრივმა რადიომ. წინასწარი მონაცემებით, შეტაკების შედეგად დაიღუპა 30-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები, ბრძოლებში მონაწილეობაში ეჭვმიტანილი 100-მდე პირი კი დაპატიმრებულია.**

სამშაბათ საღამოს რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდებოდა შეიარაღებული დაპირისპირება. ორივე მხარემ საგრძნობი ზარალი განიცადა, თუმცა, დაზუსტებული მონაცემები არ მოჰყავთ, რადგან დაბინდების შემდეგ სიტუაციის რეალურად შეფასება შეუძლებელი იყო.

როგორც იტყობინებიან, საომარი მოქმედების მიმდებარე რაიონებში ჭურვების აფეთქების შედეგად დაიღუპა ქალაქის 30-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები. დაძაბულობა გამოიწვია სომალელ ამბოხებულთა გააქტიურებამ, უაღრესად გართულდა სიტუაცია ქვეყნის სხვა რაიონებშიც.

ჰირანის პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრში – ქალაქ ბელედუეინში უშიშროების ძალებმა განახორციელეს წესრიგის დამყარებისთვის გამიზნული ოპერაცია, რომლის დროსაც დააკავეს გარდამავალი მთავრობის მოწინააღმდეგეთა მხარდაჭერაში ეჭვმიტანილი 100-ზე მეტი კაცი.



პროვინციის კომისარმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს უშიშროების უზრუნველსაყოფად. როგორც მან თქვა, დესტაბილიზაცია, რომელიც ამჟამად სუფევს პროვინციაში, არ არის გამონაკლისი, რადგან სომალის სხვა რეგიონებშიც უაღრესად გამწვავებულია ვითარება.

## მძიმე ნარკოტიკების შეტანის არხი გადაკეტეს

**18 კაცი, რომელთა შორის ათი ნიუ-იორკის ჯონ კენედის სახელობის აეროპორტის თანამშრომელია, დააკავეს ნარკოტიკების ტრანსპორტირებისა და გაყიდვის ბრალდებით. ყველა დაკავებული პირი ბოროტად იყენებდა სასამსახურო მდგომარეობას იმისთვის, რომ შეეწყო ხელი შეერთებული შტატების**



**ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებების შეტანა-გასაღებისთვის.**

გამოძიების ვერსიით, ნარკოტიკებს მალავდნენ დომინიკელთა რესპუბლიკიდან ნიუ-იორკში საერთაშორისო კომერციული რეისების მგზავრების ბარგში. დანიშნულების ადგილზე თვითმფრინავის ჩასვლის შემდეგ, ნარკოტიკები საიდუმლოდ გადაჰქონდათ „უსაფრთხო“ ზონაში. ამასთან, სანამ საქონელს მალავდნენ, ხდებოდა ამ ოპერაციის უშიშროების უზრუნველყოფა, რისთვისაც გარკვეული პირები თვალყურს ადევნებდნენ საბაჟოს ოფიცრების ან, უბრალოდ, შემთხვევით მოწმეთა ქცევას.

დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფს მეთაურობდა ვინმე ჰენრი პოლანკო. სწორედ ამ ადამიანს ჰქონდა კავშირი ნარკომოვაჭრეებთან დომინიკელთა რესპუბლიკაში. გამომძიებელთა მტკიცებით, ქვეყანაში ნარკოტიკების შემოტანის მიზნით ჰენრი პოლანკო იყენებდა „დელტა ეარლაინის“ ავიაკომპანიის რამდენიმე თანამშრომელს, აგრეთვე „არამარკის“ კომპანიის მუშაკებს, რომელთა ძირითადი საქმე იყო კვების პროდუქტების შემოტანა შეერთებულ შტატებში.

დანაშაულებრივი დაჯგუფების მონაწილეთა დაპატიმრება გახდა ორწლიანი გულმოდგინე მუშაობის შედეგი, რომლის დროსაც ფედერალურმა აგენტებმა იპოვეს 46 კილოგრამ კოკაინი – მისი ღირებულება ეგრეთ წოდებულ „შავ ბაზარზე“ 875 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს, 25 კილოგრამი ჰეროინი და 3 კილოგრამი „ექსტაზის“ აბები, შესაბამისად – 1,1 მილიონი და 75 ათას დოლარად ღირებული.

„ეს შემთხვევა თვალნათლივ მოწმობს, თუ რა კარგად იყო კონსპირირებული ორგანიზაცია, რომელიც ეწეოდა ნარკოტიკების კონტრაბანდას. ხოლო ის, რომ ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ აეროპორტის მუშაკები, უტეხს სახელს შეერთებული შტატების სასაზღვრო სამსახურს“, – განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების საიმიგრაციო და საბაჟო სამსახურების სპეციალურმა აგენტმა მარკ ლორენტიმ.

თავის მხრივ, „დელტა ეაიარლაინს“ კომპანიის პრესმდივანმა კრის კელიმ აღნიშნა, რომ მისი კომპანია იყო გამოძიების კურსში და ყოველმხრივ ეხმარებოდა სპეცსამსახურებს. „დელტას“ შვიდივე თანამშრომელი, რომლებიც დანაშაულებრივი დაჯგუფების მონაწილეები იყვნენ, სამსახურიდან დაუყოვნებლივ დაითხოვეს.

№ 200. ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი, 2007 წელი.

## ლატვია ყველაზე არასტუმართმოყვარე ქვეყანაა

**იმიგრანტთა ინტეგრაციისათვის ყველაზე არასახარბიელო პირობების არსებობის თვალსაზრისით ლატვია ითვლება ევროკავშირის წევრ ყველაზე არასტუმართმოყვარე ქვეყანად, ამ მხრივ კი ყველაზე კარგი მაჩვენებელი შვედეთს აქვს.**

ასეთი ადგილები მიეკუთვნა ქვეყნებს „მიგრანტთა მიმართ განხორციელებული საინტეგრაციო პოლიტიკის ინდექსის“ მიხედვით, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა. გამოკვლევაში ფიგურირებენ ევროკავშირის წევრი 25 ქვეყანა, აგრეთვე ნორვეგია, შვეიცარია და კანადა. აღსანიშნავია, რომ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა ბოლო ათეულში დაიკავეს პოზიციები.

როგორც გამოკვლევიდან ჩანს, იგი განხორციელდა ბრიტანეთის საბჭოსა და ბელგიის საიმიგრაციო პოლიტიკის ჯგუფის ეგიდით. გამოკვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ევროპულ სტანდარტებს იმიგრანტებისთვის მოქალაქეობის მინიჭების, მათთვის შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობის და პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ ადამიანების მონაწილეობის სფეროში.




რეიტინგი შედგებოდა 140 მაჩვენებლისგან, რომლებიც ახასიათებდნენ იმიგრანტთა მიმართ განხორციელებულ პოლიტიკას ექვსი მიმართულებით. იგულისხმებოდა იმიგრანტებისთვის შრომის ეროვნული ბაზრის ხელმისაწვდომობა, მათი ოჯახების შეერთების შესაძლებლობა, მოქალაქეობის მიღება და ქვეყანაში ხანგრძლივი დროით ყოფნა, აგრეთვე ის ზომები, რომლებსაც იღებენ სახელმწიფოები სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ პირთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რეიტინგში კანადის ყოფნა აიხსნება იმით, რომ ამ ქვეყნის საიმიგრაციო პოლიტიკა გახდა „სანიმუშო სხვა ქვეყნებისთვის“, ხოლო მასში ბულგარეთისა და რუმინეთის არყოფნას კი ის განაპირობებს, რომ ეს ქვეყნები ევროკავშირს არცთუ ისე დიდი ხნის წინათ შეუერთდნენ. გამოკვლევის ავტორები ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ევროპის ქვეყნებისთვის ადეკვატური საიმიგრაციო პოლიტიკის განხორციელებას. ამჟამად ევროკავშირის ქვეყნებში მარტო ლეგალურად 20 მილიონი ემიგრანტი ცხოვრობს, რაც აღემატება ავსტრიის და ბელგიის მოსახლეობის საერთო რაოდენობას.

პირველ ხუთეულში მოხვდნენ შვედეთი, პორტუგალია, ბელგია, ნიდერლანდი და ფინეთი, ბოლო ადგილები კი შესაბამისად დაიკავეს ლატვიამ, კვიპროსმა, ავსტრიამ, საბერძნეთმა და სლოვაკეთმა. რეიტინგის ლიდერი მიიღებს 70 პროცენტს საიმიგრაციო პოლიტიკის შეფასების ექვსი კრიტერიუმიდან თითოეულის მიხედვით. შვედეთში შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობა შეფასებულია 100 პროცენტით, ლატვიამ კი ვერ მიიღო 60 პროცენტზე მეტი საიმიგრაციო პოლიტიკის ვერც ერთი მიმართულებით. ყველაზე დიდი შეფასება – 51 პროცენტი რიგამ დაიმსახურა ქვეყანაში იმიგრანტთა ხანგრძლივი ყოფნის შესაძლებლობის უზრუნველყოფისთვის.

# ჟურნალისტური გამოძიება



**◎ ძირი დანახული ჯობს**

**(მერვე გვერდიდან)**

# ბინათმშენებლობის ბაქანალია „ნაციონალურად“

ამჟამად აღნიშნული მოთხოვნები, ხელისუფლების თანხმობით, დავიწყებას მიეცა, რაც საგანგაშოა. ამას ემატება ისიც, რომ დღემდე არ არსებობს ჩვენი ქალაქების, რაიონების, სოფლების არქიტექტურულ-სამშენებლო განვითარების ახალი გენერალური გეგმა, რომელიც დაეყრდნობა თანამედროვე, მსოფლიოს გამოცდილების პრაქტიკიდან გამომდინარე, დაგეგმარების, არქიტექტურულ და სამშენებლო ნორმებს. დღესდღეობით, როგორც აღვნიშნეთ, არ არსებობს დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმა, ანუ დღემდე ძალაშია 1970 წლებში შექმნილი და დამტკიცებული თბილისის განვითარების გენერალური გეგმა, რაც დაუშვებელია.

ამჟამინდელი მოთხოვნების მიხედვით არქიტექტურულ-სამშენებლო ექსპერტიზისთვის პასუხისმგებლობის ფირმებსა და ინვესტორებზე გადატანა ნიშნავს იმას, რომ მშენებლობისა და პროექტების ხარისხის რეგულირების ნაცვლად სახელმწიფო აპრიორად აუქმებს „თვითრეგულირების“ კონტროლის გაუქმებას, რაც შედეგობრივ გამოიწვევს იმას, რომ მენაშენე, დიდი მოგების მიღების მიზნით, დაიქირავებს თავისთვის სასურველ ექსპერტს და მიიღებს თავისთვის მისაღებ დასკვნას, რაც დღესდღეობით ყოველმხრივ მკვიდრდება.

ვის უნდა ევალებოდეს მოცემულ მდგომარეობაში აღნიშნული ექსპერტიზის ჩატარება, თუ გავითვალისწინოთ, რომ არქიტექტურულ-სამშენებლო და სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ნორმებს ადგენს სახელმწიფო? ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ისევ სახელმწიფოს, ანუ უნდა არსებობდეს სამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც შეძლებს, ამა თუ იმ პროექტის განხილვის დროს, ქვეყნის კონსტიტუციიდან გამომდინარე, დაიცვას სახელმწიფოში არსებული ყველა სამშენებლო ნორმა, რომელთა გამოყენებით მშენებარე ობიექტი ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ იქნება უსაფრთხო, მდგრადი, კომფორტული და, ამავე დროს, ობიექტის ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე იქნება დაცული სახელმწიფოს და, არანაკლებად, დამკვეთის ბიუჯეტი, რის შედეგად დამკვეთს, არსებული საბაზრო ფასების შესაბამისად ხარჯთაღრიცხვის დადგენის საფუძველზე, ვერავინ შეედავება იმაში, რომ შეამცირა ან გაზარდა ხარჯთაღრიცხვის მოცულობა.

სწორედ ამიტომ ინვესტორთა საქმიანობის მოწესრიგება სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხია და მისი თვითდინებით მიშვება დიდად საზიანოა ქვეყნის ეკონომიკისთვის.

ახალი წესების მიხედვით პროექტის – ობიექტის ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელობა სრულიად უგულებელყოფილი, ანუ აუცილებელი არ არის. და ეს იმ დროს, როცა ბათილად ცნობილ კანონში სახელმწიფო ექსპერტიზის დადებითი დასკვნა გარკვეული ფარი იყო ინვესტორებისთვის, იცავდა იმათ ინტერესებს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ყოფილი შპს „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს“ 2005 წლის ანგარიშის მიხედვით მათი საქმიანობით დაიზოგა სახელმწიფო სახსრები და მილიონობით გაიზარდა ბიუჯეტში შეტანილი თანხაც.

2006 წლის 18 ივლისამდე, ანუ ზემოთ ხსენებული კანონის ბათილად ცნობამდე, ამ სამსახურმა განიხილა 256 პროექტი, მათ შორის საცხოვრებელ-სამოქალაქო დანიშნულების 138, ხოლო საწარმოო და სხვა დანიშნულებისა – 118. განხილული ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 732 მლნ ლარი, მათ შორის საცხოვრებელ-სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობებისამ – 439 მლნ ლარი, ხოლო საწარმოო და სხვა დანიშნულებისამ – 293 მლნ ლარი. კორექტირებულ იქნა 16 ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (16 პროცენტი). მთლიანად 2006 წელს განხილულ ობიექტთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, ექსპერტიზის შედეგად, შემცირდა 6,5 მლნ ლარით. მაშინ როცა წინა წელს შემცირება იყო 17 მლნ ლარი.

2005 წელთან შედარებით –233 პროექტი, ს-ბ – 110 და საწარმო და სხვა – 123. 2006 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით მშენებარე ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შემცირდა 4,7 მლნ ლარით, ხოლო, კერძო ინვესტიციებით მშენებარე ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება გადიდდა 34 მლნ ლარით.

2006 წელს ქვეყნის ბიუჯეტში ზემოთ ხსენებულ სახელმწიფო სამსახურიდან ჩაირიცხა 400 ათასი ლარი.

2006 წელს წარმოდგენილ ობიექტებს ჰქონდათ 6463 შენიშვნა, რომელთაგან დამკვეთებმა და პროექტანტებმა გაიზიარეს 5019, ანუ 78 პროცენტი. ამით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მათი ტექნიკურ-ეკონომიკური საიმედოობა და მომზადების ხარისხი...

დღეს კი რა მდგომარეობაცაა, ყველამ კარგად ვიცით და მეც მოგახსენეთ. ამიტომაც არ განვაგრძობ ნაკლოვანებათა ჩამოთვლას.

ერთსლა ვიტყვი: ყოველივე ამის შედეგად, სამწუხაროდ, როგორც წესი, ხელოვნურად დიდდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მშენებარე ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება და, პირიქით, უკიდურესად მცირდება კერძო ინვესტიციით მშენებარე ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება.

რატომ? იმიტომ რომ დამკვეთებს (ინვესტორებსძ სურთ სახელმწიფო ბიუჯეტს რაც შეიძლება მეტი „გამოსძალონ“, ხოლო კერძო ინვესტიციებიდან, პირიქით, ნაკლებად შეიტანონ სახელმწიფო შესატანები ბიუჯეტში.

**სინდისდაკარგული ხელისუფლება**

**აღნიშნული კანონის ბათილად ცნობის ინიციატორი, როგორც ჩვენთვის ცნობილია, იყვნენ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (მინისტრი – გ.არველაძეძ და ქვეყნის მთავრობა (პრემიერ-მინისტრი – ზ.ნოღაიდელიძ, რომლებსაც მხარს უჭერდა ყველასთვის ცნობილი ქვეყნის მთავარი „პრივატიზატორი“ – სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე, რუსეთიდან მოვლინებული საქართველოს ეკონომიკის „გადასარჩენად“.**

სწორედ კ.ბენდუქიძის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ხელისუფლებამ გაიზიარა მისი გამონათქვამი „ყველაფრის გაყიდვა შეიძლება, გარდა სინდისის“, რაც დანაშაულებრივი ხასიათის პარადოქსული განაცხადია თუნდაც იმიტომ, რომ, თუ ყველაფერი საბოლოოდ გაიყიდება, ეს ნიშნავს, რომ სინდისი პირველი გაიყიდება. მაგრამ არა ერის და მოსახლეობის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ამჟამინდელი ხელისუფლებისა, განსაკუთრებით პირველი პირების სინდისი.

ეს კი უშუალო კავშირშია იმასთან, რომ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა მდიდართა კასტა და ამჟამად არ არსებობს მოსახლეობის საშუალო ფენა. მოსახლეობის უმრავლესობა, სამწუხაროდ, ღატაკი და სილატაკის ზღვარს გადაცილებულია.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**ვალერი ლისოჩენკო,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“.**

**◎ ფესტივალი**

# ასეც ხდება: ინკოგნიტო ავტორსაც შეასრულებენ

**რა ხდება დღეს თანამედროვე, ანუ აქტუალურ მუსიკაში, რა მიმართულებისა და ტენდენციების მუსიკა იკვეთება, ზოგადად რა პროცესები მიმდინარეობს ამ მხრივ ევროპის ქვეყნებში? ცნობისმოყვარეთა ინტერესს ნაწილობრივ უთუოდ დააკმაყოფილებს აქტუალური მუსიკის ფესტივალი, რომელიც გუშინ დაიწყო თბილისში და გაგრძელდება თელავსა და შვეიცარიის ქალაქებში.** იგი ორგანიზებულია შვეიცარიის და საქართველოს მიერ. მისი დაარსების თაოსნები არიან შვეიცარიაში მცხოვრები ქართველი პიანისტი თამარ კორძაია, კომპოზიტორი ფელიქს პროფოსი, მუსიკოსი რეზო კიკნაძე და არტ-მენეჯერი ანა კრაიერი. პარტნიორები: საქართველოს მუსიკალური საზოგადოება და კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და შვეიცარიის თანამედროვე ხელოვნების განვითარებისთვის შექმნილი სახელმწიფო ფონდი PROHELVETIA.




აქტუალური მუსიკის ფესტივალი წლეულს მეორედ იმართება (პირველი ფესტივალი ორი წლის წინათ მოეწყოძ და იგი აერთიანებს როგორც კლასიკის ტრადიციებზე აღმოცენებულ მუსიკას, ისე ელექტრონულსა და სხვადასხვა ინსტრუმენტულ მუსიკას, ასევე ვოკალს.




**„საქართველოში თვით მუსიკოსებსაც კი (მცირე გამონაკლისის გარდაძ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ევროპაში მიმდინარე შემოქმედებით პროცესებზე, ტექნიკური ნოვაციების ეპოქის მისწრაფებებსა და ექსპერიმენტებზე, მუსიკალური ავანგარდიზმის უახლოეს ტექნოლოგიურ მოდელებზე, რაც ინფორმაციის ნაკლებობის შედეგია. სწორედ ამ ვაკუუმის შევსებას ისახავს მიზნად აქტუალური მუსიკის ფესტივალი“,** – გვითხრა ცნობილმა მუსიკათმცოდნემ, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარემ **მანანა ახმეტელმა.**

შვეიცარიელმა კომპოზიტორმა **ფელიქს პროფოსმა** აღნიშნა, რომ წლევანდელ ფესტივალზე ახალი მუსიკა ფართო სპექტრით იქნება წარმოდგენილი, თითქმის ყველა ნაწარმოები, რაც თბილისსა და თელავში შესრულდება, ქართული პრემიერა იქნება.

საფესტივალო პროგრამაშია გია ყანჩელის ორი დიდი კამერული ნაწარმოები, რომელიც 19 ოქტომბერს შესრულდება, ამ დღეს აჟღერდება მიხეილ შუღლიაშვილის სექსტეტიც, რომელიც ერთხელ, 30 წლის წინათ შესრულებულა თბილისში“. 18 ოქტომბრის საღამო მთლიანად ელექტროაკუსტიკური მუსიკის შედევრებს დაეთმობა. შვეიცარიელ და გერმანელ ავტორებთან ერთად შესრულდება რევაზ კიკნაძის, ნიკა მაჩაიძის, ზვიად ბუცხრიკიძის ქმნილებები. აგრეთვე ტრადიციულ საკომპოზიციო კონკურსში გამარჯვებული ელექტროაკუსტიკური ნაწარმოები, რომლის თემა სწორედ ამგვარი მუსიკა იყო. მრავლად იქნება იმპროვიზიციები.

ფესტივალის მნიშვნელოვანი მხარეა ის, რომ ანსამბლები დაკომპლექტებულია ქართველი და უცხოელი მუსიკოსებისაგან, რომლებიც მუსიკალურ ექსპერიმენტებს შემოგვთავაზებენ. ფესტივალის აუცილებელი პირობაა ორმხრივობა. საქართველოს შემდეგ იგი გაგრძელდება შვეიცარიაში. თბილისურ კონცერტებს უმასპინძლებენ კონსერვატორიის მცირე დარბაზი და კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. 21 ოქტომბერს რჩეული პროგრამა იქნება წარმოდგენილი თელავის კულტურის ცენტრში. შემდეგ კი კონცერტები გადაინაცვლებს შვეიცარიის ქალაქებში ვინტერტურში, ციურიხსა და უსტერში. სხვათა შორის, ფესტივალზე ინკოგნიტო ავტორის ნაწარმოებიც შესრულდება.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**აზიიდან ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირში, ჩვენდა ჭირად, გადმობარგდნენ ყაზახები. არადა, ვინ იფიქრებდა, რომ ტყავის ბურთის ქართველი ოსტატები ოდესმე შუააზიელთა საპამპულო გახდებოდნენ**



ორბიტაზე



## უკრაინა ჩემპიონატს დათმობს?

**გავრცელდა ხმები, თითქოს უკრაინა და პოლონეთი ვერ ასწრებენ ფეხბურთში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატისათვის მომზადებას და რომ, თუკი მათ ჩამოერთმევათ ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება, მაშინ ინგლისი, იტალია და ესპანეთი უკვე მზად არიან ხვალვე ევროპული ფეხბურთის დიდი დათვალიერების მისაღებად.**

თითქოს, რომ უკრაინა და პოლონეთი სათანადოდ ვერ ემზადებიან ევრო – 2012-სთვის, განაცხადა ლვოვში ჩასულმა ფიფას საფეხბურთო აგენტმა შანდორ ვარგამ, რომელსაც თან ახლდა კიევის „დინამოს“ მწვრთნელი ოლეგ ლუჟნი.

შეშფოთება გამოიწვია ჩემპიონატის შესახვედრად ინფრასტრუქტურის მოსამზადებლად ლვოვის ხელისუფალთა მოუქნელმა მუშაობამ. თუმცა, სარეზერვო ქალაქებმა ხარკოვმა და ოდესამ უკვე გამოთქვეს ევროპული ჩემპიონატის მატჩების მისაღებად მზადყოფნა.

ვითომ დათმობენ უკრაინა და პოლონეთი კონტინენტის საფეხბურთო ფორუმს?

## ბლატერი და პლატინი არ ჩამოვლენ

**ფიფას პრეზიდენტის იოზეფ ბლატერისა და უეფას პრეზიდენტის მიშელ პლატინის საქმიანი ვიზიტი საქართველოში გადაიდო.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ცნობით, ამის მიზეზი მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციაში დანიშნული საგანგებო თათბირი გახდა.

## ჩემპიონობა — 14 თვის დაგვიანებით



**მადრიდში გაიმართა ძალზე პოპულარული მრავალდღიანი ველორბოლის „ტურ დე ფრანს-2006“ ჩემპიონისთვის – ესპანელ მრბოლ ოსკარ პერეირო სოისთვის ჩემპიონის ყვითელი მაისურის გადაცემა.**

ველოსპორტის მოყვარულებმა იციან, რომ შარშან ამ პრესტიჟულ ველორბოლაზე ფინიშთან პირველი იყო ამერიკელი ფლოიდ ლენდისი, შემდეგ დოპინგის მიღებაში რომ ამხილეს და ჩემპიონობა ჩამოართვეს.

„ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ნამდვილი გამარჯვებული გვყავს!“ – განაცხადა ამ რბოლის დირექტორმა კრისტიან პრიუდომმა დაჯილდოების დროს.

ახლადგამომცხვარმა ჩემპიონმა კი განაცხადა: „მიხარია, რომ ეს ტრილერი დასრულდა, 14 თვე ვფიქრობდი ამ სიტუაციაზე და ვერ ვახერხებდი ჩემს სამუშაოზე სათანადო კონცენტრაციას. რაღაც გაორებული გრძნობა მაქვს. ერთის მხრივ, კმაყოფილი ვარ, მეორეს მხრივ კი, ვწუხვარ, რომ ყველაფერი ასე გვიან მოხდა“.

აღსანიშნავია, რომ რბოლის ხელმძღვანელობამ მაინც გადაწყვიტა დაჯილდოების ცერემონიის მოწყობა, თუმცა ამერიკელმა ლენდისმა ასეთი გადაწყვეტილება ლოზანაში, უმაღლეს სპორტულ სასამართლოში გაასაჩივრა. მისი განხილვა კი ალბათ მომავალი წლის თებერვლამდე არ გაიმართება.

ფეხბურთი

# რა დავუშავეთ ყაზახებს?

**აზიიდან ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირში, ჩვენდა ჭირად, გადმობარგდნენ ყაზახები.** არადა, ვინ იფიქრებდა, რომ ტყავის ბურთის ქართველი ოსტატები ოდესმე შუააზიელთა საპამპულო გახდებოდნენ. თავად განსაჯეთ: წლეულს „ტობოლმა“ და „ასტანამ“ „ზესტაფონი“ და „ოლიმპი“ გამოაბუნძულა ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშებიდან. ახლა კი 21 წლის ქართველმა ფეხბურთელებმაც შეირცხვინეს თავი – პეტარ სეგრატის შეგირდებმა აქტობეში გამანადგურებელი ანგარიშით წააგეს ყაზახ თანატოლებთან – 1:4. ლორიას კარში ორ-ორი ბურთი კენზაევმა (ერთი – პენალტით) და ნურგალიევმა გაიტანეს. სტუმართაგან პრესტიჟის გოლი რევაზ ბარაბაძის ანგარიშზეა.

იმავე დღეს მესამე გამარჯვება იზეიმეს რუსებმა, რომლებმაც, სტუმრად პოლონელებს სძლიეს 1:0 (პრუდნიკოვი). ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები 12 ქულით (4 თამაშიდან) ერთპიროვნულად ლიდერობენ ქვეჯგუფში. 9 ქულით მეორე ადგილზე (3 თამაშით) ესპანელები არიან, მესამეზე – 6 ქულით პოლონელები. ყაზახებს და ქართველებს 3-3 ქულა აქვთ.

ჭადრაკი

# მელიას — ისევ „ბრინჯაო“

**ერევანში დამთავრდა 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც საქართველოს 13 წარმომადგენელი მონაწილეობდა.** გოგონებში კარგად გაისარჯა ბათუმელი დიდოსტატი სალომე მელია, რომელმაც 13 შესაძლებლიდან 9,5 ქულით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. საგულისხმოა, რომ ბოლოსწინა ტურში სალომემ პოლონელ იოლანტა ზავადსკას სძლია, შემდეგ კი შავი ფიგურებით ინდოელ ჰარიკა დრონავალს დააყრევინა ფარ-ხმალი (ჩემპიონობა 10 ქულით რუსმა ვერა ნებოლშინამ დაიმსახურა) გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა და მელიას უკეთესი კოეფიციანტით გაასწრო ზავადსკამ, რომელსაც ვერცხლის მედალი ხვდა.



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა სალომე მელიამ შარშანაც მსგავს წარმატებას მიაღწია, ოღონდ მაშინ ჩინელებთან მოუწია საპრიზო ადგილების განაწილება. აღსანიშნავია ისიც, რომ სალომე თოთხმეტწლიანებში მსოფლიო ჩემპიონი გახლდათ, თექვსმეტწლიანებში „ბრინჯაო“ ხვდა, შარშანწინ თვრამეტწლიანთა ევროპის პირველობაზე ყველას აჯობა. იმედია, იგი მომავალშიც ახალ-ახალი გამარჯვებებით გაგვახარებს.

ვაჟებში მსოფლიო პირველობის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. აჰმედ ადლი (ეგვიპტე) – 10, 2. ივან პოპოვი (რუსეთი) – 9,5, 3. ჰაო ვანგი (ჩინეთი) – 9 ქულა.

ცურვა

# „გრან-პრი“ – ზედიზედ მეშვიდედ

**ბულგარელმა მოცურავემ პეტარ სტოიჩევმა მექსიკაში ზედიზედ მეშვიდედ მოიპოვა FINA-ს საერთაშორისო სერიის მარათონული შეჯიბრების გრან-პრი. წლეულს მან ამ სერიაში შემავალი 8 ეტაპიდან 5 მარათონული გაცურვა (10 კილომეტრზე ზევით) მოიგო.**



ასეთ შეჯიბრებებს ღია წყალზე ფედერაცია 2001 წლიდან აწყობს და იქ კაცთა შორის, მხოლოდ და მხოლოდ, სტოიჩევი იმარჯვებს.

ასეც ხდება



# ცრუმორწმუნე პრეზიდენტი

**ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეშვიდე ჯგუფში მორიგი ტურის მატჩზე – რუმინეთი – ჰოლანდია, როცა რუმინელთა მცველმა დორინ გორიანმა 71-ე წუთზე სტუმრების კარში გამარჯვების გოლი გაიტანა, რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მირჩა სანდუმ კონსტანცაში ჯერ VIP-ლოჟა დატოვა, ხოლო შემდეგ – სტადიონიც, ასე რომ, მატჩის დასასრულისთვის არ დაუცდია.**

„დიახ, ეს მე ცრუწმენის გამო გავაკეთე“, – აღიარა მოგვიანებით რუმინული ფეხბურთის თავკაცმა, რომელიც ასევე მოიქცა 1993 წელს კარდიფში, როცა რუმინეთის ნაკრები წინ გავიდა უელსის ნაკრებთან შეხვედრაში და 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზური მოიპოვა.

რაღაც ორი წუთის შემდეგ კონსტანცაში ასევე მოიქცა რუმინეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი დუმიტრე დრაგომირი. „ცუდად გავხდი, ასეთი დაძაბულობისგან, შესაძლოა, მოკვდე. ეშმაკმა დასწყევლოს! აღარ შემიძლია სტადიონზე გაჩერება. მატჩის დასასრულს მანქანაში ვნახავ“, – უთხრა სპორტის მაღალჩინოსანმა ჟურნალისტებს.

კონსტანცაშის საგანგებოდ ჩამოფრენილი რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბესესკუ კი სტადიონზე მატჩის ბოლომდე დარჩა, შემდეგ კი გამარჯვებით გახარებულმა მხოლოდ წამოიძახა: „ძალზე მიხარია!“

№ 200. ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი, 2007 წელი.

# სიმაღლე

● **„ბედნიერი ვარ, მოვასწარ შენი კაცობის გაცნობა, ოთხმოცი — არაფერია, მთავარი არის კაცობა“!**



**◎ ქვირფასი სილუეტები**

# კაცი თეატრი...

## ოცდაათი წლის წინათ

**აი, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ოცდაათი წლისწინანდელი ერთ-ერთი ნომერი. აქ საქართველოს სახალხო არტისტის, რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის დაბადების ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი ჩემი წერილია დაბეჭდილი.**

**მახსოვს, იუბილარს მარჯანიშვილის თეატრში, „ოიდიპოს მეფის“ რეპეტიციაზე, შესვენებისას შევხვდი.**

**— „ოიდიპოსი“ ქართული თეატრისთვის ტრადიციული თემაა. ყოველი ახალი შეხება მასთან შემოქმედისთვის, დამეთანხმებით, ძალზე რთულია...**

— რა თქმა უნდა... მე, თავიდანვე, ცოტა შიშიც კი მქონდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, არჩილ ჩხარტიშვილისა და დოდო ალექსიძის სპექტაკლების შემდეგ, ამ ნაწარმოებს შეეჭიდო... ჩვენ ვცდილობთ, ჩვენებურად, ახლებურად დავინახოთ იგი...

**— საინტერესოა, თქვენი დადგმებიდან, მაინც რომელი უფრო მიგაჩნიათ თქვენი რეჟისორული მრწამსის გამომხატველად?..**

— საქმე ისაა, დრო რომ გადის და უკან მიიხედავ, უკმარისობის გრძნობა ყოველთვის შეგიპყრობს ხოლმე. ესა თუ ის ნაწარმოები მაინც არ არის ყოველთვის ისეთი, შენ რომ ფიქრობდი. მაინც აკლია სრულყოფა. ასეთი უკმარისობის გრძნობა, რა თქმა უნდა, ხშირად მქონია, მაგრამ თუ საქმე საქმეზე მიდგება, მაინც გამოვყოფ რამდენიმე სპექტაკლს: „ნაპერწკლიდან“ — გორის თეატრში, „სასტუმროს დიასახლისი“ — მარჯანიშვილის თეატრში, „ლიუბოვ იაროვაია“ — ქუთაისის თეატრის სცენაზე, ნოდარ დუმბაძის რომანების მიხედვით დადგმული სპექტაკლები თბილისში, მოსკოვში, ბათუმში, „კოლხეთის ცისკარი“ და „კახაბერის ხმალი“ — მარჯანიშვილის თეატრში, „სირანსო დე ბერჟერაკი“, „ასი წლის შემდეგ“, „ფსკერზე“ (ნუგზარ გაჩავასთან ერთად) და „ფიროსმანი“ — რუსთაველის თეატრში... აი, ძირითადად ეს სპექტაკლებია ჩემი შემოქმედების განმსაზღვრელი.

**— თქვენ ამჟამად კინოშიც მუშაობთ და ჭაბუა ამირეჯიბის გახმაურებულ რომანს „დათა თუთაშხიას“ იღებთ... რა იყო მთავარი, რითაც დაგაინტერესათ ბატონი ჭაბუას ამ რომანმა?..**

— უნდა გითხრათ, რომ ჩემი გულისყური ყოველთვის არის მიპყრობილი ქართული დრამატურგიისადმი. და, როდესაც დრამატურგიის უკმარისობას ვგრძნობ, ქართულ მოთხრობას, ქართულ რომანს მივმართავ ხოლმე. ასე იყო ნოდარ დუმბაძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის მიმართ.

„დათა თუთაშხიამ“ გამოქვეყნებისთანავე ჩემზე მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა — დიდხანს ვფიქრობდი, როგორ გადამეტანა იგი სცენაზე, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ამ რომანის არქიტექტონიკა, მისი სპეციფიკა, მრავალპლანიანობა ვერ შეეგუებოდა სცენური ჩარჩოების ლოგიკას. ამიტომ, როდესაც „დათა თუთაშხიას“ ეკრანზე გაცოცხლება შემომთავაზეს, სიამოვნებით დავთანხმდი. უნდა გითხრათ, რომ ამ მრავალსერიან ფილმზე რეჟისორ გიზო გაბესკირიასთან ერთად მთელმა დამდგმელმა ჯგუფმა მართლაც ტიტანური შრომა გასწია, და, აი, უკვე, დეკემბრის ბოლოს მთელ სურათს ჩავაბარებთ. რა დასამალია და, ამ ფილმზე მუშაობის სურვილს მიორკეცებდა ის ამბავი, რომ კიდევ ერთხელ მომიწევდა მუშაობა ისეთ ნიჭიერ მსახიობთან, როგორიც ოთარ მეღვინეთუხუცესია.

**— რატომ შეჩერდა თქვენი არჩევანი ოთარ მეღვინეთუხუცესზე?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ამ საოცრად ხალხურ და საოცრად ტრაგიკულ სახეს დღევანდელ ქართულ თეატრში, ანდა ეკრანზე, მხოლოდ ოთარ მეღვინეთუხუცესი თუ შეასხამდა ხორცს. საერთოდ, ფილმზე მუშაობისას, ამოცანად დავისახე ცნობილი ქართველი მსახიობების შერჩევა. მართლაც, ფილმში საინტერესო სახეები შექმნეს თენგიზ არჩვაძემ, სესილია თაყაიშვილმა, აკაკი ვასაძემ, შესანიშნავმა ესტონელმა მსახიობმა იური იარვეტმა, დოდო აბაშიძემ, სოფიკო ჭიაურელმა, ქეთინო კიკნაძემ, კარლო საკანდელიძემ და სხვებმა. ძნელი სათქმელია, ჩვენმა შრომამ რა შედეგი გამოიღო, ის კია, რომ ცდა არ დავაკელით, ფილმსაც ეთქვა ის დიდი სათქმელი, რაც უკვე წიგნში ითქვა.

**— ბატონო გიგა, მაინც რამ გაფიქრებინათ, რომ ქართული თეატრისთვის მიგეძღვნათ თქვენი ცხოვრება?**

— ხელოვნებაში ცხოვრება თვითონ ქართულმა თეატრმა მაფიქრებინა. მთელი ჩემი ბავშვობა ქართული თეატრის სპექტაკლებზეა გატარებული. არჩილ ჩხარტიშვილისა და დოდო ალექსიძის იყო ეს სპექტაკლები. შორეულ მოგონებებში წამოტივტივდებიან კოტე მარჯანიშვილის „ურიელ აკოსტა“, რომელმაც შეძრა ჩემი გული, როგორც გენიალურმა ქმნილებამ; სანდრო ახმეტელის „ყაჩაღები“, „ანზორი“, აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძის ბრწყინვალე სპექტაკლები რუსთაველის თეატრში... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...: ქართული სცენის დიდოსტატების ყოველმა როლმა ჩემ თვალწინ გაიარა.

**— და რა მოხდა?**

— მოხდა ის, რომ 1944 წელს შევედი თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც პირველი კურსი გიორგი ტოვსტონოგოვის ხელმძღვანელობით გავიარე. 1945 წელს წავედი მოსკოვში და სწავლა განვაგრძე ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. ჩემთვის ბედნიერება იყო ის, რომ მასწავლიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ალექსი პოპოვი. ბედნიერება იყო, რომ სამხატვრო თეატრის სცენაზე „მოვასწარი“ ნახვა ისეთი ტიტანებისა, როგორებიც იყვნენ კაჩალოვი, ხმელიოვი, თარხანოვი და სხვები.





ცოტა ხანს კიდევ ვისაუბრეთ, აღარ შევაყოვნე, რადგან „ოიდიპოსის“ რეპეტიცია უნდა გაეგრძელებინა, წარმატება ვუსურვე და დავემშვიდობე...

## ოცდაათი წლის შემდეგ

**— როგორ ბრძანდებით, ბატონო გიგა?**

— ცოტა გული მაწუხებს... კიდე როგორა ვარ ჩვენი ყოფის შემსწრე...

ჩვენ საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის კაბინეტში ვსაუბრობთ. ჩემთვის ძვირფასია აქაურობა. კარგა ხნის წინათ, „დოდო ალექსიძის დროს“ თეატრალური საზოგადოების სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებაში ვმუშაობდი და ამ შენობაში ბევრ ჩვენ სახელოვან თეატრალს შევხვედრივარ...

**— ბატონო გიგა, ამ რამდენიმე დღის წინათ, თქვენს ძვირფას დაიას, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს ოთხმოცდახუთი წელი შეუსრულდა... ბავშვობაში, ხუთი წელი დიდი სხვაობაა, სამაგალითო იყო იგი თქვენთვის?**

— დღემდე სამაგალითოა ჩემთვის მარიკა, როგორც ქართველი ქალი, როგორც მეცნიერი... საოცარი და-ძმობა გვქონდა... მამის დაპატიმრების შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს მარიკა მამის როლს თამაშობდა... მაგრამ ხასიათით განსხვავებული ვიყავით. მას ოთხიანი არ მიუღია, ისე დაამთავრა საშუალო სკოლა. მე კიდე, ვერაზე გაზრდილი, ცოტა აცვენილი ბიჭი ვიყავი... ერთხელ, ჩემ გამო, დედა სკოლაში დაიბარეს. დამრიგებელმა ერთ-ერთ მასწავლებელს გააცნო იგი, მარიკასა და გიგას დედააო... ორივესიო? გაუკვირდა მასწავლებელს. კიო... მამაც ერთი ჰყავთო (ვიცინით ორივენი)?!. ასე შევაბერდით ერთმანეთს...

**— ბატონო გიგა, ოთხმოცი წელი ხუმრობა აღარაა... მადლობა ღმერთს, კარგად გამოიყურებით... უკან რომ მოიხედავთ, კმაყოფილი ხართ განვლილი გზით?**

— კმაყოფილებასა და თვითკმაყოფილებას შორის დიდი განსხვავებაა. რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ... არ დამკლებია წოდებები, არ დამკლებია ქართველი ხალხის სიყვარული, ისე არ მიცხოვრია, რომ ჩრდილი მიმეყენებინა ჩემი საქართველოსთვის, ჩემი დედ-მამისთვის, ოჯახისთვის, მარიკასთვის...

**— ისე, აქა-იქ, ალბათ, თქვენც გაიგონებდით, რად უნდა ეგ დეპუტატობა გიგა ლორთქიფანიძეს, ელდარ შენგელაიას... ცდებიან ტყუილად, თეატრსა და კინოს მიხედონო...**

— იმ დროს, ჯერ კიდევ სახელმწიფო საბჭოში, მეც, ელდარიც, ბატონი ჭაბუაც, ქალბატონი ლანა ღოღობერიძეც და კიდევ სხვები — ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების წარმომადგენლები, უფრო იმიტომ ვიყავით, რომ პირველი წლები იყო ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, მისი ბედი წყდებოდა და გაქცევა ღალატის ტოლფასი იქნებოდა... მე მიმაჩნია, საქართველო თუა, ეს მისი კულტურითა და ხელოვნებითაა, ამიტომ მისი ინტერესების დაცვა პარლამენტში, ჩვენი ვალი იყო... მერე მოვიდა ხალხი, რომლებსაც ნაკლებად აინტერესებდათ მშობლიური კულტურაც და ხელოვნებაც, ამიტომ მეც გადავწყვიტე, წამოვსულიყავი პარლამენტიდან... მერე, მოგეხსენებათ, თეატრალური უნივერსიტეტის რექტორი ვიყავი შვიდ წელიწადს, მაგრამ ახალგაზრდობას უნდა დავუთმოთო და მეც დავუთმე, თუმცა კონტაქტი არ გამიწყვეტია უნივერსიტეტთან და მომავალ რეჟისორთა ჯგუფი მყავს... აგერ, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომერე ვარ... დედაქალაქში, ჩემი დადგმული სამი სპექტაკლი მიდის სხვადასხვა თეატრში და მეტი რა ვქნა ოთხმოცი წლის კაცმა? ისე, რომ იცოდე, ერთგვარი რეკორდსმენიც ვარ: თეატრში 155 სპექტაკლი მაქვს დადგმული... მრავალი ფილმიც გადაღებული...

**— ერთი მოარული კითხვაც და მეტს აღარ შეგაწუხებთ, ბატონო გიგა... გვეშველება რამე?..**

— (მწარედ ვიღიმით) უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ძალზე რთული ქვეყანა ვართ... ყველაზე ძნელად გადავიტანეთ საბჭოთა კავშირში დატრიალებული კატაკლიზმები. ეს კი განაპირობა, ძირითადად, ქართულმა ხასიათმა... მაგრამ გადავრჩებით... ძნელი წარმოსადგენია ის ქარტეხილები, რაც ქართველმა ხალხმა თავისი ისტორიის მანძილზე გამოიარა. ჩვენ რომ ახლა ეგვიპტეს ან იტალიას ვეძახით, სხვა ხალხის ისმის იქ ჟრიამული... ჩვენ კი გადავრჩით, სამშობლოს სიყვარულმა გადაგვარჩინა... ჩვენ ჩვენი სახე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არ დაგვიკარგავს, არსებობდა „ქართული კინოს ფენომენი“, „ქართული თეატრის ფენომენი“... და დღეს, რა ღმერთი გაგვიწყრება!..

* * *

მერე ბატონი გიგა მჩუქნის ალბომს — „გიგა ლორთქიფანიძე“, რომელიც მის საიუბილეოდ გამოუცია საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირის და ქართული თეატრის საცავს. აქ დიდი ქართველი რეჟისორის მრავალფეროვანი შემოქმედებაა განხილული. ამ შემოქმედებაზე მოგვითხრობს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ახალი ნომერიც. აქ მისი კოლეგები, ქართველი თუ უცხოელი მეგობრები საუბრობენ გიგა ლორთქიფანიძეზე, კაცზე, კოლეგაზე შემოქმედზე, მამულიშვილზე...

ჯანსუღ ჩარკვიანი ლექსით ამთავრებს თავის მისალოცს:

**„ბედნიერი ვარ, მოვასწარ**
**შენი კაცობის გაცნობა,**
**ოთხმოცი — არაფერია,**
**მთავარი არის კაცობა“!**

ჭეშმარიტად!

**ვილენ მარდალეიშვილი**

**სურათებზე: გიგა ლორთქიფანიძე; გიგა ლორთქიფანიძე — დიდი ჯალაბის პატრონი.**

№ 200. ხუთშაბათი. 18 ოქტომბერი. 2007 წელი.

● ჩვენთვის თქვენ როგორ არა ხართ,
ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!



## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ჩემი მშობლები 10 წელია განქორწინებული არიან. ვსწავლობ სკოლაში და ვიღებ ალიმენტს მამისგან. მალე 18 წელი მისრულდება გთხოვთ, მაცნობოთ, მომეცემა თუ არა ალიმენტი უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში?**

**მკითხველი**

**პასუხი:** კანონის თანახმად, ალიმენტი გაიცემა შვილის 18 წლის შესრულებამდე. ეს მამათქვენის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, – უმაღლესში სწავლის პერიოდში გაგიგრძელებთ თუ არა ალიმენტის გადახდას. მაგრამ მას კანონი სრულწლოვანი შვილისთვის ალიმენტის მიცემას, სამწუხაროდ, სწავლის პერიოდშიაც არ ავალდებულებს.



* * *

**კითხვა: ვარ 19 წლის. დედა 10 წლის ასაკში გარდამეცვალა. 5 წლის წინათ მამამ მეორე ცოლი შეირთო. და-ძმა არ მყავს. ახლა მამაც დამეღუპა. გამოირკვა, რომ მას მთელი თავისი ქონება ანდერძით ჩემი დედინაცვლისათვის დაუტოვებია. ორმოცის გადახდის შემდეგ,იგი სახლიდან წასვლას და დეიდისთვის შეკედლებას მავალდებულებს. იქნებ დამეხმაროთ და ამიხსნათ, მართლა არაფერი მეკუთვნის ჩემი მშობლების სახლიდან?**

**მურთაზ თომაძე**

**პასუხი:** თქვენ ხართ პირველი რიგის მემკვიდრე და მიუხედავად იმისა, რომ აწ გარდაცვლილ მამათქვენს მთელი თავისი ქონება მეუღლისთვის დაუტოვებია, სავალდებულო წილი მისი უძრავ-მოძრავი ქონებიდან მაინც გეკუთვნით. მაგრამ კანონის თანახმად, სამწუხაროდ, ეს იქნება იმ წილის ნახევარი, რომელიც თქვენ მოგეცემათ. მამას ანდერძი სხვა პირის სასარგებლოდ რომ არ დაეწერა.

* * *

**კითხვა: ჩემმა მეუღლემ ოჯახზე გული აიცრუა და განცხადება შეიტანა სასამართლოში განქორწინებასთან დაკავშირებით. მყავს ორი მცირეწლოვანი ბავშვი. არ მინდა, დამენგრეს ოჯახი. გთხოვთ მაცნობოთ, რამდენ ხანს შეიძლება არ მიიღოს სასამართლომ გადაწყვეტილება ჩვენი განქორწინების შესახებ.**

**ლანდა შენგელია**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, ვინაიდან მცირეწლოვანი შვილები გყოლიათ, სასამართლო მოგცემთ 6 თვის მოსაფიქრებელ ვადას. იქნებ ამ პერიოდში რაიმე შეიცვალოს და შერიგდეთ, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა, სამწუხაროდ, განქორწინება გარდაუვალი იქნება 6 თვის გასვლის შემდე.

* * *

**კითხვა: გთხოვთ განმიმარტოთ, ითვლებიან თუ არა შვილიშვილები პირველი რიგის მემკვიდრეებად?**

**მკითხველი**

**პასუხი:** თუ ცოცხალი არიან მათი მშობლები, შვილიშვილები პირველი რიგის მემკვიდრეებად არ ჩაითვლებიან.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

## არდავიწყება



**ედუარდ შევარდნაძე მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე და ოჯახის მეგობარი ქალბატონი ნათელა იანქოშვილი.**

*ედუარდ შევარდნაძე*

---

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება საქართველოს სახალხო მხატვრის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის**

**ნათელა იანქოშვილის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახსა და ახლობლებს.**

*მერაბ ბერძენიშვილი*

---

**დღეს დიდუბის პანთეონში ბატონ ლადოს გვერდით მივაბარებთ ქართულ მიწას ქალბატონ ნათელასაც. მთელი ცხოვრება გულითადი მეგობრობა მაკავშირებდა ამ ორ გამოჩენილ ადამიანთან – ბატონ ლადო ავალიანთან, ჩინებულ მწერალთან, და ქალბატონ ნათელა იანქოშვილთან, განუმეორებელ ფერმწერთან. ამიტომ მინდა, რომ ჩემი გულწრფელი მწუხარების ხმა მივაწვდინო მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას და დიდი გულისტკივილით დავემშვიდობო ამ ფრიად თვალსაჩინო და ჭეშმარიტად დიდებულ ხელოვანს ქალბატონ ნათელა იანქოშვილს.**

*ნელი გურგენიძე*

---

# ამირან ვიბლიანი



**ქართულმა გეოლოგიურმა საზოგადოებამ კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა დამსახურებული გეოლოგი, ღირსების ორდენის კავალერი ამირან ვიბლიანი.**

**იგი დაიბადა 1932 წელს მესტიის რაიონის სოფელ ჟაბერში. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1955 წელი) შრომითი საქმიანობა დაიწყო საქგეოლოგიის სისტემაში, სადაც იგი მუშაობდა აფხაზეთის, ქვემო და შიდა ქართლის მადნიანი რაიონების საბადოებზე, დაწყებული რიგითი გეოლოგიიდან გეოლოგიური პარტიების უფროსის თანამდებობამდე.**

**1975-78 წლებში მივლინებული იყო ალჟირის რესპუბლიკაში მადნიანი საბადოების შესასწავლად.**

**სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა შპს „საქგეოლსერვისის“ დირექტორის მოადგილედ.**

**ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას, კერძოდ, მუშაობდა სვანეთში ტურიზმის აღორძინების პრობლემებზე.**

**ქართულ გეოლოგიურ საზოგადოებაში მან დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტმა, მოქალაქემ და მამულიშვილმა.**

**მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგებისა და მეგობრების გულში.**

**საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება;**
**საქართველოს გეოლოგთა კავშირი;**
**საქართველოს გეოლოგიის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის;**
**მუშაკთა პროფკავშირი.**

## დღეგრძელობა და შემოქმედება

# ჭკუა თავშია და არა ხანში

ბორის ეფიმოვი | ბორის პოკროვსკი | იური ლიუბიმოვი




**გამოჩენილმა რუსეთელმა რეჟისორმა იური ლიუბიმოვმა ახლახან 90 წლის იუბილე სპექტაკლის პრემიერით აღნიშნა (დადგა ალექსანდრე გრიბოედოვის უკვდავი კომედია „ვაი ჭკუისაგან“).**

ამ ხელოვანის შემოქმედებითი დღეგრძელობის მაგალითი უნიკალური როდია. რუსეთული ხელოვნების უხუცესად ითვლება სახელგანთქმული კარიკატურისტი ბორის ეფიმოვი, რომელიც 107 წლისა (!) წარმატებით განაგრძობს ხატვას. ასევე ცნობილმა რეჟისორმა (საოპერომ) ბორის პოკროვსკიმ 95 წლისამ დადგა ოპერა „საიდუმლო ქორწინება“. ახლა რუსეთის გარეთაც გავიდეთ და „სხვებსაც“ მივხედოთ.

მიქელანჯელო ანტონიონი | მორის დრიუონი | ფრანკო ძეფირელი




მსოფლიო სახელის იტალიელმა კინორეჟისორმა მიქელანჯელო ანტონიონიმ 89 წლის ასაკში გადაიღო ფილმი „ნივთთა სახიფათო კავშირი“ (94 წლისა გარდაიცვალა). გამოჩენილი ფრანგი რომანისტი მორის დრიუონი 89 წლისა წერს ახალ წიგნს (მკითხველს შევახსენებთ, რომ მის კალამს ეკუთვნის პოპულარული ისტორიული რომანების ციკლი „დაწყევლილი მეფენი“). მსოფლიო სახელის 84 წლის იტალიელი კინორეჟისორი ფრანკო ძეფირელი „მაკნატუნას“ საბალეტო დადგმაზე მუშაობს.

...ვფიქრობთ, ჩვენს ხანდაზმულ შემოქმედებითი პროფესიების მქონე მკითხველებს ასეთი ორიენტირები მხნეობას შემატებენ...

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

შპს „საქართველოს რკინიგზა“ შეწყვეტილად აცხადებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 16 ოქტომბრის № 198 გამოქვეყნებულ ინტერესთა გამოხატვის მოწვევას, სარკინიგზო მაგისტრალის გადატანისა და ახალი სარკინიგზო ხაზის სათანადო ინფრასტრუქტურით მშენებლობის შესახებ, ასევე შეჩერებულად ცხადდება ამავე გაზეთში გამოქვეყნებული ინტერესთა გამოხატვა ქ.თბილისში ზესტაფონის ქუჩა №22 მდებარე თბილისის სავაგონო დეპოს ტერიტორიის გასხვისებისა (გაყიდვა) და შესაბამისი ტერიტორიის ათვისების პროექტის წარმოდგენის შესახებ.

## ინფორმაცია

### ზოგს ფქვილი, ზოგს ვაუჩერი

**საპრეზიდენტო სუფსიდიის ფარგლებში ასობით ათასი მოქალაქე დახმარებას მიიღებს. ამის შესახებ განცხადება გუშინ გამართულ სხდომაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა გააკეთა.**

მან ვრცლად ისაუბრა, თუ რა კატეგორიას შეეხება პრეზიდენტის პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარება.

დავით ტყეშელაშვილის თქმით, 100-ლარიან ვაუჩერს 1 200 000 ადამიანი მიიღებს, აქედან 70 000 სკოლის პედაგოგია, 330 000 სოციალურად დაუცველი მოქალაქეა, ხოლო 800 000 პენსიონერია.

დახმარების მიმღებ მოქალაქეთა რაოდენობა იმის ხარჯზე გაიზარდა, რომ სოფლად მცხოვრებ ყველა ოჯახზე ვინც ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში არ ხვდება 50 კგ ფქვილი გაიცემა, ასეთი ოჯახი არის 700 000, ეს ის ოჯახებია, ვინც ზემოთ ჩამოთვლილ ოჯახების კატეგორიაში არ ხვდებიან.

თბილისში უკვე დაიწყო 50-ლარიანი ვაუჩერის დარიგება, დღეისათვის 20 000 ვაუჩერია გაცემული, მიმდინარე კვირის ბოლომდე თბილისში ელექტროენერგიის ვაუჩერების დარიგება დასრულდება და მომავალი კვირიდან უკვე გაზის ვაუჩერების გაცემა დაიწყება.

რაც შეეხება ქუთაისს, ფოთს, რუსთავს და ბათუმს აქ ვაუჩერების გაცემა 20 ოქტომბრიდან დაიწყება და ასევე, მომავალი კვირიდან სოფლებში ფქვილის დარიგება დაიწყება და პირველი რეგიონი იქნება კახეთი, სადაც მოსახლეობა 50 კგ. ფქვილს მიიღებს.

### ქვეყანა იმპორტზე რჩება ორიენტირებული

**საპარლამენტო ფრაქცია მემარჯვენე ოპოზიციის წევრი ირაკლი იაშვილი ბიუჯეტის პროექტთან მიმართებაში, როგორც უარყოფით, ასევე დადებით მხარეებზე საუბრობს.**

როგორც ირაკლი იაშვილმა განაცხადა, ბიუჯეტის პროექტის დადებითი მხარე ის არის, რომ ხარჯები მცირდება.

მისივე თქმით, ხარჯების შემცირებაზე ორიენტირებული ტენდენცია ნიშნავს, რომ მომავალ წელს ბიზნესიდან ნაკლებ თანხებს ამოიღებენ, რაც ძალიან კარგია.

უარყოფით მხარეებში კი, იაშვილი ინფლაციის პროგნოზს ასახელებს და მიიჩნევს, რომ იგი ზედმეტად ოპტიმისტურად არის პროგნოზირებული.

**ინტერპრესნიუსი**

№ 200. ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

● მეცნიერები მოუწოდებენ ყველა იმ დიდი ქვეყნის ხელისუფლებას, რომლებმაც მიიღეს მთელი პროგრამები ბიოლოგიურ საწვავზე გადასასვლელად, დაფიქრდნენ ამ პრობლემაზე. რადგან დღეს სწორედ ბიოლოგიური საწვავს მოიხმარს ბევრი ქვეყანა



◉ ინფორმაცია

## „თბილისობა“ გაყიდულ თბილისში



„თბილისობა“ წელს 20-21 ოქტომბერს ჩატარდება. ამის შესახებ გუშინ თბილისის მერიაში გამართულ პრესკონფერენციაზე ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, თბილისობისთვის მზადება უკვე დაწყებულია და იგი წინა წლებთან შედარებით კიდევ უფრო განსხვავებული იქნება.

თუმცა, ვიცე-მერმა არ დააკონკრეტა, რა სიახლეებია მოსალოდნელი საზეიმო ღონისძიებების პროგრამაში.

## პრესის თავისუფლების მიხედვით საქართველო 66-ეა

**საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ ქვეყნებში პრესის თავისუფლების მდგომარეობის ამსახველი მეექვსე ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა.** 169 ქვეყანას შორის საქართველო 66-ე ადგილზე გავიდა. ექსპერტების შეფასებით, პრესის თავისუფლების მხრივ, ყველაზე უკეთესი მდგომარეობა ისლანდიაშია. მას ნორვეგია, ესტონეთი, სლოვაკეთი, ბელგია, ფინეთი, შვედეთი, დანია, ირლანდია და პორტუგალია მოჰყვებიან.

უკანასკნელი პოზიცია ერიტრეას უკავია, რომელმაც შარშან ბოლო ადგილზე გასული ჩრდილოეთი კორეა შეცვალა.

რუსეთი 144-ე ადგილზე მოხვდა. ანგარიშის ავტორების განმარტებით, რუსეთის დაბალი მაჩვენებელი ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობამ, სხვა რუსი ჟურნალისტების მკვლელების დაუსჯელობამ და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პლურალიზმის არარსებობამ განაპირობა.

## ისრაელელთა კომპანია არაფერ შუაშია

**თბილისში ავტოტრანსპორტის პარკირების მიზნით, ოპერატორი კომპანია პარასკევს, 16 საათზე გამოვლინდება.**

ამის შესახებ გუშინ დედაქალაქის ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა ჟურნალისტებს განუცხადა. მან კომენტარი გააკეთა „კონსერვატორ“ ბიძინა გუჯაბიძის ბრალდებაზე, რომ ქალაქის მერია ისრაელში რეგისტრირებულ ერთ-ერთ კომპანიას გაურიგდა.

ვიცე-მერის განცხადებით, ეს აბსოლუტური ტყუილია, რადგან ტენდერში 5 კომპანია მონაწილეობს.

ახვლედიანის განცხადებით, ინფორმაცია პარკირების ლიცენზიის მოსაპოვებელი ფირმის გამოსავლენად მერიამ ორი თვით ადრე საკუთარ ვებ გვერდზე გამოაქვეყნა.

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას 12
98-65-87; 899 32-85-76.

◉ ვაი ჭკუისაგან

## ბიოსაწვავი პლანეტას ემუქრება

**ამ ბოლო ხანს მოდაში შემოვიდა ისეთი ავტომობილების კეთება, რომელთა ძრავები ყველანაირ ალტერნატიულ ენერგიის წყაროსა და ბიოლოგიურ საწვავზე მუშაობენ. ვითომდა სწორედ ასეთი ავტომანქანები შეამცირებენ მომავალში ნავთობის მოხმარებას, მავნე ნივთიერების ატმოსფეროში გამოყოფას და, საერთოდ, მსოფლიოს უფრო მშვენიერს გახდიან.**

თუმცა მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ბიოლოგიური საწვავის მოხმარებამ შეიძლება სავალალო, ნეგატიურ შედეგებამდე მიგვიყვანოს. დაუფიქრებელმა მეცნიერთა ჯგუფი ამერიკასა და ევროპაში ყურადღებით სწავლობდა იმ ძრავებს, რომლებიც სიმინდისგან დამზადებული საწვავით მუშაობენ. აღმოჩნდა, რომ ისინი ატმოსფეროს 50-70 პროცენტით მეტჯერ აბინძურებენ, ვიდრე ჩვეულებრივი ბენზინის ძრავები.

მეცნიერები მოუწოდებენ ყველა იმ დიდი ქვეყნის ხელისუფლებას, რომლებმაც მიიღეს მთელი პროგრამები ბიოლოგიურ საწვავზე გადასასვლელად, დაფიქრდნენ ამ პრობლემაზე. რადგან დღეს სწორედ ბიოლოგიური საწვავს მოიხმარს ბევრი ქვეყანა.

საინტერესოა, რომ ბიოლოგიური საწვავის პრობლემაზე პირველად ალაპარაკდა... ფიდელ კასტრო. მან ვრცელი სტატია მიუძღვნა ამ პრობლემას, სადაც აშშ-ის ხელისუფლება გააკრიტიკა, რადგან იგი მხარს უჭერს სხვადასხვა სახის ბიოლოგიური საწვავის მოხმარებას, რომელიც თურმე მომავალში შეცვლის „შავ ოქროს“ და ამერიკას მოუხსნის ნავთობის პრობლემას.

80 წლის რევოლუციონერის სიტყვებით, მომავალში დაახლოებით 3 მილიონი ადამიანი დარჩება ულუკმაპუროდ და შიმშილით დაიხოცება მხოლოდ იმიტომ, რომ ჯორჯ ბუშს სურს, ავტომობილი არატრადიციული საწვავით გამართოს. ეს საწვავი ხომ ისეთი საკვები პროდუქტებისგან მზადდება, როგორიცაა სიმინდი, სოიო, მზესუმზირა და ა.შ. ამის შედეგად ფასი ამ პროდუქტებზეც აიწევს, თან საკმაოდ მაღლა, რის გამოც ადამიანები აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში ვერ მისცემენ თავს უფლებას ამ საკვების საყიდლად და დაიხოცებიან. „ეს არაა გადაჭარბებული. ეს შეიძლება მოხდეს, თუ ამერიკა არ შეჩერდება...“ – განაცხადა ფიდელ კასტრომ.

მოამზადა
**ოლღა ცისკარიშვილმა**

◉ ანეკდოტები

**ფსიქიატრიული საავადმყოფოს ავადმყოფები სატელევიზიო ახალ ამბებს უყურებენ.**

– ერთი მათგანი ყოველი სიუჟეტის შემდეგ მუხლებზე ხელს ირტყამს და გახარებული იძახის:

– რა კარგია, რომ ფსიქიატრიულში ვარ!

– ეს უნდა გავწეროთ, – ეუბნება ერთი ექიმი მეორეს, – უკვე ნაღდად გამოჯანმრთელებულა...

* * *

აბრამი დანტისტთან მივიდა.

– რა ღირს სიბრძნის კბილის ამოღება?

– 80 დოლარი.

– უფრო იაფად არ შეიძლება?

– თუ უნარკოზოდ ამოგიღებთ, 60 დოლარიც შეიძლება.

– მაინც ძვირია. უფრო იაფად არ გამოვა?

– თუ უნარკოზოდ ამოვიღებთ, თანაც ბრტყელტუჩათი, 40 დოლარადაც გამოვა.

– ოცად არ იქნება?

– თუ უნარკოზოდ და თანაც სტუდენტი პრაქტიკანტები ამოიღებენ, 20 დოლარი ეყოფა.



– ძალიან კარგი, ოთხშაბათისთვის ჩაწერეთ სარა...

* * *

მამაკაცის დავაჟკაცების სამი სტადია:

1. მას სწამს თოვლის პაპისა.
2. მას არ სწამს თოვლის პაპისა.
3. ის თვითონ არის თოვლის პაპა.

* * *

სხვისთვის ცოლის წაგვრა იოლია, დაბრუნება კი შეუძლებელი.

◉ კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები
(კოსტავას ქ. № 12. ტ: 98-65-87; 899 53-76-16)
შპს „თანადგომა -1“ (დავით აღმაშენებლის 150. 899 79-76-79)
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.